წელიწადი მეორე   ფასი 7 კაპ.   კვირა 28 თებერვალი 1916 წ.   № 46

საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს“ რედაქციასა და კანტორაში ყოველდღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело“, поч. ящикъ № 76

განცხადების ფასი

ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე [illegible] გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი 1 გვ. ღირება 40 კ. 4-ზე 20 კ., ტექსტში—60 კ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მან., 4 საათის შემდეგ (მიიღება მხოლ. გაბაშვილის შესახვევში, ა. კალანდაძის სტამბაში ღირება 4 მ.

დამატებიანი № ღირს ყველგან 7 კაპ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო, საეკონომიო და სალიტერატურო გაზეთი

წელიწადი მეორე. **საქართველო** წელიწადი მეორე.

უპრემიოდ ღირს: ყოველ-კვირეულ სურათებიან დამატებით ერთის წლით 8 მ. 50 კ. 6 თვით—4 მ. 50 კ. 3 თვით—2 მ. 50 კ. 1 თვით—80 კ. თვიურად ხელის მოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველიდან პირ-მდე.

პრემიებით: წლიურად—10 მ. ხელის მოწერისას 5 მ. 1 მაისამდე—5 მ.

გაზეთი ყველა პრემიებით 9 მანეთად დაეთმობა, ვინც ფულს ამთავითვე სრულად შემოიტანს.

სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივის ზომისა ღირს 3 მან. ნაშუადღევის 4 საათის შემდეგ 4—მან.

გაზეთის კანტორა ღიაა დილით—9—3 საათამდე საღამოთი—5—7 საათამდე.

ფოსტის მისამართი: Тифлисъ. Московская ул. № 4, домъ Габаева. Почтовый ящикъ № 76.

რედაქტორ-გამომცემელი **სანდრო შანშიაშვილი.**

საგალანტერიო მაღაზია
ძმ. ივ. ჭავჭანიძისა და
ი. ი. გველესიანისა
იმყოფება შუა ბაზარში, მანთაშევის ქარვასლაში.
იშოვება ყოველგვარი საგალანტერიო საუკეთესო საქონელი:
ჩულქეულობა, ქოლგები და სხვა ახალ მოდის საქონელი
(101—წ.)

საუკეთესო კახური
ღვინის საწყობი
ადამ ზურაბის ძის
ბერელაშვილისა
მოთავსებულია, მიხეილის ქუჩაზე № 5. საკუთარი სახლი.
(102—წ.)

შეშის საწყობი
ნიკოლოზ იოს. ჭრელაშვილისა
ანდრიას ქუჩა, № 87. საუკეთესო ღირსების შეშა
ყველასთვის ხელმისაწვდენ ფასში
საკუთარი ტყიდან
საწყობს აქვს გადამზიდავი ურმები და კისრულობს შინ მიტანასაც
(103—წ.) ტელეფონი 5—96.

ქ. ბაქოში
ღვინით ვაჭრობა
„მელაანი“
თ. ი. ზ. ანდრონიკაშვილი და ამხ.
იშოვება საუკეთესო კახური ღვინოები
(112—წ.)

სასტუმრო „ავრორა“
ახლად შეკეთებული, მდიდრულად მორთული ნომრები.
უაღრესი სიფაქიზე. **ელექტრონის განათება**
ქალაქის შუაგულში, ვორონცოვის ძეგლის მახლობლად
ნომრები ყველასათვის ხელმისაწვდომ ფასებშია.
თვიურ მდგმურებს ფასდაკლებით ეთმობათ.
სასტუმროსთან მოწყობილია
სამზარეულო, ვანები თბილი და ცივი წყლით.
თბილისი, მიხეილის ქუჩა № 5. ტელეფონი 12—85.
(წ.—)

გოლოვინის პრ. და სამხედრო ქუჩის კუთხეში, ფოსტა-ტელეგრაფის პირდაპირ გაიხსნა
ახალი აფთიაქი
პროვიზორის ახვლედიანისა

კბილის ექიმი
ნინო რცხილაძე
იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. და საღ. 5—7 საათ. ყაზბეგის ქუჩა 14 და კირპიჩნი შესახვევის 21.

ახალი კლუბი
ერთი კვირის პროგრამა 29 თებერვლ იდან 6 მარტამდე.
ორშაბათი—სინემატოგრაფი, სიმებიანი ორკესტრი.
სამშაბათი—ქართული ოპერეტა: „მეჯლისი იტალიელებით“ და „ბებრის საღერღელი“ (შესვლა უფასოა).
ოთხშაბათი—სინემატოგრაფი და სიმებიანი ორკესტრი.
ხუთშაბათი—ქართული წარმოდგენა; პიესა ოთხ მოქმ. სარდუსი „მადამ სანჟენ“ (შესვლა უფასოა).
პარასკევი—სინემატოგრაფი და სიმებიანი ორკესტრი.
შაბათი — ქართული დრამატიული საზოგ. საღამო.
კვირა — დილით—ახალი პოემა „ბერდო ზმანია“ პოეტ სანდრო შანშიაშვილისა. საღამოთი ორკესტრი.
დასაწყისი: სინემატოგრაფისა და წარმოდგენისა საღ. 8 საათზე.
კლუბში შესასვლელი ფასი ჩვეულებრივია, მხოლოდ სამშაბათს და შაბათს იხდიან: მანდილოსნები და სტუდენტები (ფორმაში) 65 კ. მამაკაცისა 1--05 კ.,

ხარფუხის საზოგადო კლუბი
მიხაილოვის პროსპექტი, № 129. კვირას, 28 თებერვალს
სინემატოგრაფი და საზანდარი
დასაწყისი საღამოს $8^1/_2$ საათზე
სტუმრები იხდიან ჩვეულებრივ ფასს

ვასწავლი
ქართულ „სიმღერა-გალობას“ და ვამზადებ მომღერალ - მგალობლებს, დიდ და მუდმივ სახალხო გუნდისათვის. მიღება და ჩაწერა
მიხეილ კავსაძესთან
(ჩუღურეთის წმ. ნიკოლოზის ეკლესიის სკოლა.—ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკეობ. საღ. 6-9-დე).
ვასწავლი მუშა ხალხსაც.

დოქტორი მედიცინისა
მოსე ანთიმოსის ძე
კალანდარიშვილი
უმცროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.
ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე საღამოს 5—7 საათ. ოლღას ქუჩა, № 3, სახლი მელიქ-აზარიანცისა.

ექიმი-დოსტაქარი
გ. მ. მუხაძე
იღებს ავადმყოფთ საღამოს 5—6 საათ. მისამართი: კუთხე კიროჩნი და დიდი მთავრის ქუჩისა, სახლი სვანიშვილისა; შესავალი დიდი მთავრის ქუჩიდან № 67 ოფიცერთა ეკონომიური საზოგადოების შენობის პირდაპირ. ტელეფონი № 5—77.

ექიმი
მ. დ. წინამძღვრიშვილი
უ. ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტისა სამედიცინო ინსტიტუტის კლინიკებისა გადმოვიდა თბილისში და იღებს **შინაგან სნეულებიან** ავადმყოფებს: გულისა, ფილტვებისა და სისხლის სნეულებიანს სპეციალურად. საღამოს 5—7 საათამდე, მიხეილის ქ. № 36, მეორე სართული.

ომის ამბები

ომის დეპეშები

უმაღლეს მთავარსარდლის შტაბისა.

პეტროგრადი, 26 თებერ. ოფიციალი. **დასავლეთი ასპარეზი.** ზემო სტრიპის რაიონში ქალ. კოზლოვის აღმოსავლეთით ჩვენი მზვერავნი თავს დაესხნენ მტრის სადარაჯოებს და ტყვეები წამოიყვანეს. ამის საპასუხოდ მოწინააღმდეგემ საკმაოდ ძლიერი რაზმებით კონტრიერიში მიიტანა, მაგრამ დიდი ზარალით უკუ ვაგდეთ.

კავკასიის ასპარეზი. მტრის დევნას განვაგრძობთ.

—

პარიზი, 26 თებერვალი. დღისით მოსული ცნობა. არგონებში ჩვენი არტილერია უშენდა მტრის პოზიციებს, განსაკუთრებით მონფოკონკოტ-დელუას რაიონში, არგონების აღმოსავლეთით. სოფ. ბეტანკურზე გერმანელებმა იერიში მოიტანეს. ჯერ ზურგი საარტილერიო ცეცხლით გაიმაგრეს და შემდეგ ისე წამოვიდნენ, მაგრამ ჩვენის ცეცხლით დროზევე შევაჩერეთ. კორბოს ტყეში გერმანელები ბევრს ეცადნენ ჩვენთვის ხელახლად წაერთმიათ გუშინ დაკარგული ტყის ნაწილი, მაგრამ ვერას გახდნენ. მდ. მაასის აღმოსავლეთით გუშინ საღამოთი მთელი ღამის განმავლობაში დუომონის რაიონისა და სოფ. ვოს შუა მკაცრი ბრძოლა გრძელდებოდა. გერმანელებმა რამდენჯერმე სასტიკი იერიში მოიტანეს საკმაოდ ძლიერი ძალებით, მაგრამ მიუხედავად მათი მძაფრი საარტილერიო ცეცხლისა და მგრგვინავ იერიშებისა, ვერ მოახერხეს ჩვენი ბრძოლის ხაზის გარღვევა. საბოლოოდ ხომ შეჩერებულ იქმნენ კიდეც. რამდენჯერმე მძაფრი იერიშების მოტანის შემდეგ წუთით შესძლეს გერმანელებმა სოფ. ვოში შეჭრა, მაგრამ ხიშტით იერიშის შემდგომ უკუგდებულ იქმნენ. ვევრში დრო გამოშვებით საარტილერიო სროლა იყო, თუმცა ქვეითი ჯარს მონაწილეობა არ მიუღია. ლოტარინგიაში, უეცრივი თავდასხმის დროს ოცი კაცი წამოვიყვანეთ ტყვედ.

პარიზი, 24 თებერვალი. ჰავასის სააგენტო იუწყება. გუშინდელი დღე ჩვენდა საკეთილოდ გათავდა. მძაფრი საარტილერიო სროლის შემდეგ გერმანელთა ორ-გზობის იერიში ბელანკურზე გაცუდა, მათ მიზანს ვერ მიაღწიეს. მართალია, მათ წამით გაიმარჯვეს და ორდომანის სიმაგრე აიღეს ერთის დაკვრით, მაგრამ ჩვენ იმედი გვაქვს მას მალე დავიბრუნებთ და ხვალ მაინც ისევ დავმკვიდრდებით. მაგრამ ეს მცირე ეპიზოდია, მათთვის საბედნიერო ბედი, რომელიც დროგამოშვებით ხან ერთსა სწყალობს და ხან მეორეს. სრულიად სხვა გვარი სახისაა ჩვენი კონტრიერიშები. მარჯვედ დავიბრუნეთ კორბოს ტყის ერთი ნაწილი, ასე რომ სულ მცირედიღაა მტრის ხელში. ამნაირად, ამ სექტორში ჩვენი მდგომარეობა რამოდენადმე გაუმჯობესდა.

ლონდონი, 26 თებ. ინგლისის მთავარ-შტაბის ცნობა საფრანგეთში. წარსულ ღამეს მოწინააღმდეგის მცირე იერიში მოვიგერიეთ. დღეს მოწინააღმდეგემ ჟივანშთან ნაღმი ააფეთქა, მაგრამ ქვეითა ჯარის იერიში არ მოუხდენია. იპრთან არტილერიის შესამჩნევი შეტაკება ხდებოდა.

ლონდონი, 25 თებ. ოფიციალად იტყობინებიან: 22 თებ. გენერალი ელმერი ტიგრის მარცხენა ნაპირის მიმართულებით წინ მიიწევდა და ესიუანს მიახწია, რომელიც 7 მილის მანძილზე მდებარეობს კუტ-ელ-ამარიდან აღმოსავლეთით. გენერალი ელმერი ირწმუნება, რომ მოწინააღმდეგემ დიდი ზარალი მიიღო და გარდა ციხის გამაგრებისა, არაფერი გაუკეთებიაო. ინგლისის ჯარის ზარალი მცირეაო.

ჟურნალ-გაზეთებიდან

ვერდენი.

გერმანული გაზეთები დაბეჯითებით ამბობენ, დასავლეთის ასპარეზზე ვერდენთან ბრძოლა გადასწყვეტს საქმესაო.

ფრანგების სამხედრო უწყების ცნობით აქ 15 ვერსის მანძილზე გერმანელებს ყოველ ადლ მიწაზე 20 მეომარი ჰყავთ. ამ ვიწრო ფარგალში საშინელი მედგარი ბრძოლაა. დუომონის ველის შუაგულში ხელჩართული ბრძოლაა. გერმანელები სცდილობენ აქ ფრანგების ჯარი გაარღვიონ.

ვევრსა, ფორჟსა და მალანკურთან გერმანელების მოქმედება ვერდენის ბრძოლასთან არის შეთანხმებული.

საფრანგეთის სამხედრო უწყებაში ჩვეულებრივ არ არის მიღებული სარდლის გამომჟღავნება. ეხლა კი საჯაროდ აცხადებენ, ვერდენთან ბრძოლას გენერალი ფეტე ჰხელმძღვანელობსო. ეს გენერალი 59 წლის კაცია და ფრანგების ჯარში სახელგანთქმულია.

დუომონთან ბრძოლას მთელი საფრანგეთი გულის ფანცქალით ადევნებს თვალყურს. პარლამენტში გენერალმა გალიენმა მოხსენება წაიკითხა ვერდენის ბრძოლის თაობაზე. მისი სიტყვით, ვერდენთან ბრძოლა ზღვის ტალღასავით მიექან-მოექანება, ხან ერთი მხარე შეუტევს და უკან სწევს მოპირდაპირეს, ხან მეორე. ბრძოლა მხოლოდ ქარის ამოსაღებად ჩერდება ხოლმე მცირე ხნით.

ეს განუწყვეტელი ბრძოლა არის ბრძოლა ერთმანეთის ჟლეტა-განადგურებისა.

„სომხეთის განთავისუფლება“.

აზრუმის აღების შემდეგ, ჰოლანდიურ გაზეთ „ტელეგრაფ“-ში მოთავსებულია წერილი „სომხეთის განთავისუფლება“. სადაც ნათქვამია: რუსეთის ჯარმა სძლია და [illegible] ოსმალეთის ორასი ათასიანი ჯარი. სულთმობრძავი სომხეთი გამოცოცხლდა, რადგანაც ამ მხარის რუსის მიერ დაპყრობამ განთავისუფლებას უდრის. გერმანეთი ეხლა ვეღარ მოახერხებს ანატოლიიდან გაყვანილ მეომრებით ჯარის შევსებას და რუსეთის ჯარს დაუბრკოლებლად შეუძლიან შეუერთდეს მესოპოტამიაში მომქმედ ინგლისელების ჯარს

ავსტრია-ჰუნგრეთში.

გაზეთ „ცაიტ“-ში 12 . თებერვლის თარიღით გამოცხადებულია, რომ ჯარში იწვევენ 1868 და 1869 წლის ლანდშტურმისტებს. ბრძანებაში ნათქვამია, რომ ომის გაჭიანურების გამო საჭიროა ჯარში გაყვანა ყველა გამოსადეგ ხალხისა.

ამ ბრძანების თანახმად ექიმები შემოწმებენ ყველა საზოგადოებათა მამასახლისებს და საზოგადოებათა დაწესებულებებში მოსამსახურეთ, რომელნიც წინად განთავისუფლებულნი იყვნენ სამხედრო ბეგარისაგან,

უკანასკნელი ფოსტა

„ნოვოე ვრემიას“ აზრით კავკასიის ჯარის გამარჯვებას დიდი მნიშვნელობა აქვს სტრატეგიულად, რადგან ამ გამარჯვებას მოჰყვება ტრაპეზუნიდან ოსმალების ჯარის მარცხენა წვერის უკან დახევა. რუსეთის გადასხმული ჯარი, როგორც სჩანს, არა მარტო ემუქრება ოსმალეთისას, არამედ მზად არის ფართო მოქმედება დაიწყოს. ახლო-მომავალში მოსალოდნელია არა მარტო ტრაპეზუნის მიმართულებით გალაშქრება, არამედ ოსმალეთის ყოველ დახეულ ფრთის წინააღმდეგ ენერგიული ბრძოლა.

—

ზღვის პირა ადგილებში, სადაც ოსმალებს შეეძლოთ საომარი სურსათი მიეტანათ და ჯარი გაემაგრებინათ, რუსეთის ფლოტი არტილერიასთან ერთად ხელს უშლის. რუსები ნაღმებით აფეთქებენ ხიდებს ანატოლიის მთელს ნაპირებზე.

—

ტყვეების ცნობით დვინის ფრონტზე მრავალი ბულგარელი აფიცრები მოიყვანეს, ხოლო გერმანელი აფიცრები ბულგარეთის ფრონტზე გადაიყვანეს.

ბრძოლის ველზე

სამხედრო მიმომხილველთ, არა თუ რუსეთისას, არამედ საფრანგეთისასაც კი, ამაოდ მოუხსნიათ პირი პანდორას ყუთისთვის, ამაოდ მოუწოდებენ გერმანელ სულებს საიდუმლოს გამოსარკვევად, თუ რა სურთ ვერდენთან გერმანელებს. არის ეს ფართო დემონსტრაცია, ერთხელ კიდევ დიადი ეფექტის მოსახდენად, ან და შესაძლებელია ეს მხოლოდ შესავალი იყოს იმ საშინელებისა, რომელიც კატასტროფით უნდა დამთავრდეს ერთ-ერთ მებრძოლ მხარისათვის. არიან მიმომხილველნი, რომელნიც ჯერ კიდევ აღმოსავლეთის ჰიპნოზიდან არ გამოსულან და ისევ სალონიკი, იგივე ეგვიპტე, მესოპოტამია და შორეული სპარსეთ-ინდოეთი აქვთ მხედველობაში, აი იქით გაჰკრავს ხელს გერმანეთი, იქ გარდასწყვეტს ბრძოლის საკითხსო. არიან ისეთი ჯურის მიმომხილველნი, როგორიც თუნდა ბ-ნი შუმსკი და მიხაილოვსკი,—რომელთათვისაც მთავარი ასპარეზი ისევ რუსეთია, აქ იქნება, აქ გადასწყდება ბრძოლის ხაკითხიო. ანგარიშობენ კიდეც, სად უფრო მეტი ჯარი უყენია გერმანეთსაო, ამ ანგარიშით როცა შეჰხედავთ, მართლაც, დაინახავთ, მეტი წილი გერმანეთს აქეთკენ გადმოუწევია. ეს ფაქტი კი საკმარისია იმად აღიარონ რუს მიმომხილველებმა, რომ გერმანეთს რუსეთის მხრით უფრო დიდი შიში აქვს ვიდრე დასავლეთ ევროპისაო.

სრულიადაც არა გვსურს ვისიმე პატრიოტული გრძნობა შევურაცხჰყოთ. გადაჭრით კი ის შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ გერმანეთს რუსეთისკენ თუ უჭერია თვალი, არა იმიტომ, რომ მისი ყველაზე მეტად ეშინოდა, არამედ იმიტომ, რომ ანგარიშში მოსტყუვდა, როდესაც ჰფიქრობდა ერთის დარტყმით ვაიძულებთ ზავზეო. რაკი ეს არ მოხდა, მაშასადამე, ახლა სხვა გზას უნდა მიჰმართოს, დაეჩქაროს იქით ლაშქრობას, საითაც ნამდვილი საფრთხე არ აძლევს მოსვენებას. ეს გახლავთ დასავლეთი. გერმანეთი კარგადაა დარწმუნებული, რომ რუსეთი მაინცა და მაინც იმდენად არ იქნება მოღონიერებული, რომ შესძლოს ასე ფართოდ შიგნით შემოჭრილი პრუსიის მხედრობა თუნდა ვისლის იქით გადაჰრეკოს. ვისლა ეს ბუნებრივი სიმაგრე ჯერ რუსთა ხელში დიდს სამსახურსა სწევდა და მაშასადამე, გამოცდილ მეომართათვის, რომელთაც არტილერია და ტყვია-წამალი არ ენანებათ, უფრო მტკიცე ბოძად გამოდგება ფეხის მოსაკიდებლად და მეტოქე ჯარის შესაჩერებლად.

რაც შეეხება აღმოსავლეთის ჰიპნოზს, სალონიკია იგი, ეგვიპტე—სუეცი და სხვა, ეს მხოლოდ ჯადოსნური სიტყვებია, სადაც ოცნების ჯართ უფრო შეუძლიანთ გალაშქრება, ვიდრე გერმანეთისას, რომლის მთელი მხედრობა ასე რიგად საჭიროა მეტროპოლიის გულში და საზღვრებზე იყოლიოს ყოველ მოულოდნელობის გასამკლავებლად. ცხადია, მაშასადამე, რატომ იბრუნეს პირი გერმანელებმა დასავლეთისკენ. ვგონებ გვეხსომება ამ ერთი თვის წინად ფრანგთა გამოჩენილ დიპლომატების გამგზავრება ბრიან-ლეონ ბურჟუას მეთაურობით რომისკენ. საიდუმლო მოლაპარაკება საბოლოოდ გამომჟღავნდა. გვემცნო, რომ მოკავშირენი ახლო მომავალში საზოგადო შეტევისთვის ემზადებოდნენ. და აი, გენერალისიმუს ჟოფრის ასეთს განზრახვას დაასწრო გერმანეთის მთავარმა შტაბმა და ვერდენისკენ დაჰკრეს კიდეც მოისხანე ელვით.

სულ სხვა საკითხია, რატომ აირჩიეს ვერდენი. როგორც ვიცით, მანძილით იგი პარიზიდან უფრო შორსაა და და ერთის შეხედვით შამპანიდან შეტევა უფრო ხელსაყრელი უნდა ყოფილიყო გერმანელთათვის, როგორც უმახლობელესი გზით. მაგრამ ზოგი შორეული გზა ნამდვილად არ არის შორეული. ეს გამოირკვა ტყვე ოფიცერთა ჩვენებით: „დიდი მსხვერპლი მოგვივა, გაანგარიშებული გვაქვს ეს, მაგრამ ამ მსხვერპლს დიდი გამარჯვებაც მოჰყვებაო!“—ასე ჰფიქრობს არა მარტო ეს ტყვე აფიცერი, არამედ თვითეული ჯარისკაცი, თვითეული

გერმანელი. „საზოგადო სულის შექმნა და სიმტკიცე-აღფრთოვანება, ეს ნახევარი გამარჯვებაა“,—ამბობდა გენიოსი სარდალი ნაპოლეონი. გერმანელებმა პირველ დღეთა გამარჯვებით მთელი თავიანთი ერი ერთგვარის ჰიპნოზით შეიპყრეს და როგორც ასეთს გარდაუვალ კედელთა გასარღვევად არაფერს არ ერიდებიან.

ფრანგებს სჯერათ, რომ ვერდენის მდგომარეობა სერიოზულია, მაგრამ შიში მაინც და მაინც არ უნდა გვქონდესო. მათი მამაცი მხედრობა, მართლაც, ზეკაცურ აღფრთოვანებით ეგებება სიკვდილს. შედარებით კარგს პოზიციებზე არიან გამაგრებულნი, მწვერვალნი მათს ხელშია და ჯოჯოხეთურ ზარბაზნებს მარჯვედ უპასუხებენ დაბლა. ამ ბრძოლის შედეგი, როგორც დღევანდელ ბილიუტენებიდან სჩანს, გახლავთ ის, რომ ზოგიერთი დაკარგული პოზიციები დაიბრუნეს, სხვათა შორის, გუშინ წინ დაკარგულ კორბოს ტყის უდიდესი ნაწილი. ამ ადგილების დაკარგვა დეპეშათა სააგენტომ წინასწარი ბილიუტენებით უმნიშვნელო ეპიზოდებად ჩასთვალა, სამაგიეროდ დღეს მიაწერეს მნიშვნელობა, ჰავასის სააგენტო ამ ამბავს ფრანგთა ჯარების გამამხნევებელ სასწაულად სთვლის. სასტიკი ბრძოლა განახლებულა აღმოსავლეთით. როგორც სჩანს, დუომონის როგორც ფორტთან, ისე სოფელთანაც, გადმოუნაცვლებიათ დიდი ზარბაზნები, რადგანაც უკვე მოხსენებულია დე-ვოს სოფელში შემოიჭრნენ წუთით გერმანელები, მაგრამ ისევ დავიბრუნეთო. სროლაც ჯერ არ შეწყვეტილა დე-ვოს ფორტთან. ამ ორი ფორტის შუა გერმინელებმა ხელთ იგდეს არდომანის სიმაგრე, რაიც მათ საშუალებას მისცემს მათ ოპერაციის გასავითარებლად.

საზოგადოდ დღევანდელ საიმედო დეპეშებიდან ისა სჩანს, რომ გერმანელთა იერიშების შეჩერება მოახერხეს ფრანგთა მამაცმა შვილებმა. რა თქმა უნდა, ეს არაა უკანასკნელი სიტყვა. გენერალურ დამარცხებაზე და შეჩერებაზეც მეტია ლაპარაკი. აქ უნდა გავიზიაროთ ცნობილ მიხაილოვსკის აზრი, თუ გამძაფრდა მდგომარეობა, „გენერალისიმუსი ჟოფრი თამამად დასტოვებს ვერდენს, თუ კი მისი შენარჩუნება აღარ იქნება საჭირო აუცილებელ მსხვერპლის გასამართლებლად. გერმანელები ასეთი განწირულებით მოიწევენ მის ასაღებად და არა უნდა გაგვიკვირდეს რა“... სხვათა შორის იგივე მიხაილოვსკი ამბობს, ჟოფრს არ უყვარს ისეთი დაჟინება და გაჯიქება, როგორიც ფრენჩს, რომელმაც იპრის დაცვას მთელი თავისი ძალღონე შეალია ამ 16 თვის წინედაო.

X.

თბილისი, 28 თებერვალი

დეპეშები

(„საქართველო“ს საკუთარის კორესპონდენტებისაგან).

ფრანგული გაზეთი „პტი ჟურნალი“ სწერს: ვერდენის დაცემას ომისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა არ ექმნებაო.

—

„რუსკია ვედომოსტის“ სამხედრო მიმომხილველი კიროვი აღნიშნავს, რომ ფრანგები მოსალოდნელია ტულ-ეპინალის ხაზზე დაიხევენ. უდიდესი ბრძოლებია მოსალოდნელიო.

—

ჰფიქრობენ, რომ რუსეთში დიდი პოლიტიკური ცვლილებაა მოსალოდნელიო. მემარჯვენეები პროგრესიული ბლოკის წინააღმდეგ არიან ამხედრებულნი. ისინი სახელმწიფო სათათბიროს დათხოვნას და სათათბიროს ახალი არჩევნების მოხდენას მოითხოვენ. მათ ახალ არჩევნებში უმრავლესობის გაყვანის იმედი აქვთო.

—

რიგის ფრონტზედ ბულგარელი აფიცრები გამოჩნდნენ.

—

მადაგასკარის კუნძულზედ შეთქმულობა აღმოაჩინეს, რომელიც საფრანგეთის ბატონობიდან განთავისუფლებლად იყო მოწყობილი.

—

მუშავდება კანონპროექტი, რომელიც სახელმწიფო მონოპოლიათ ხდის ცეცხლიდან დაზღვევის საქმეს.

გ. ვ.

იურიევი.

იურიევის უნივერსიტეტის გადატანა 1 მარტიდან დაიწყება. ყველაფერი ჩალაგებულია და გამზადებული. პირველ მარტს გააქვთ უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა, რომელიც რუსეთში საუკეთესო ბიბლიოთეკად ითვლება. ბოლო დროს ხმა გავრცელდა, უნივერსიტეტი ეკატერინოსლავში გადააქვთ და არა პერმშიო, როგორც წინად იყო გადაწყვეტილი.

საფრანგეთის ასპარეზი



ვერდენის მიდამოები

ახალი ამბავი

◆ **ჩვენი გაზეთის გუშინწინდელ ნომერში მოთავსებული გვქონდა ცნობა შაბიამანის დამზადების შესახებ ალავერდის ქარხანაში. სამშაბათის ნომერში დაწვრილებით მოვათავსებთ ამის შესახებ ყველა ცნობებს.**

◆ **მატარებლის დამტვრევა.** 25 თებერვალს, დილის რვა საათზე, სად. ბეიუქ-ქიასქში (ბაქოს ლიანდაგი) ბაქოსკენ მიმავალი საქონლის მატარებელი სადგურზე შესვლის დროს ლიანდაგს გადმოშორებია და საქონლით დატვირთული 7 ვაგონი სრულიად დამტვრეულა. დაშავებულა ერთი კონდუქტორი.

◆ **ქართული წარმოდგენა.** სამშაბათს, 1 მარტს, ავლაბრის თეატრში წარმოდგენილი იქნება „სამშობლო“. მონაწილეობას მიიღებენ მსახიობი ვ. გამყრელიძე და სცენის მოყვარენი.

◆ **კახეთის მევენახე-მეღვინეთა** საზოგადობას „კახეთი“-ს დირექტორად აირჩიეს რევაზ გაბაშვილი.

◆ **წლიური კრება.** მოვაგონებთ ჩვენს მკითხველებს, რომ დღეს, დილის 11 საათზე, სამეურნეო ბანკის დარბაზში, წლიური კრება უნდა შესდგეს ქართულ სიტყვა-კაზმულ მწერლობის საზოგადოებისა, უნდა განიხილონ ანგარიში 1911—1915 წლ. და აირჩიონ თანამდებობის პირნი.

◆ **უხვი შეწირულება.** ქ-ნ ეკატერინე მალხაზის ასულს ორჯონიკიძისას უანდერძებია წერა-კითხვის საზოგადოების ცხინვალის განყოფილებისათვის 50 დღიური მიწა.

◆ **ქართული საქველმოქმედო საზოგადოების** ახალციხის განყოფილება დახმარებას აძლევს 101 ოჯახს, რომლებშიაც 669 სული იმყოფება. ამათ შორის მამაკაცი არის 117, დედაკაცი 171 და ბავშვი 168.

◆ **ვალის მოთხოვნა.** წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობა სთხოვს იმ პირთ, რომელნიც საზოგადოების სტიპენდიით სარგებლობდნენ, სწავლა დაამთავრეს და ამ ჟამად სამსახურში იმყოფებიან, ნაწილ-ნაწილ მაინც გაისტუმრონ ვალი, რათა ამ ფულით შემდეგ სხვა ღარიბმა მოსწავლეებმა ისარგებლონ. საზოგადოების ყოფილ სტიპენდიანტებისაგან ჯერ-ჯერობით მხოლოდ 2 კაცი იხდის ვალს.

◆ **არ. წითლიძე და ერ. გულისაშვილი,** სამაჰმადიანო საქართველოში ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების მიერ დაარსებულ სკოლების გამგენი, თბილისიდან ბათომს გაემგზავრნენ.

◆ **ისევ ილიასეულ მამულის შესახებ.** სამშაბათს, 1 მარტს, წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობა განიხილავს ქართულ სასოფლო სამეურნეო საზოგადოების საბჭოს მიერ შემუშავებულ პროექტს შესახებ ილიასეულ საგურამოს მამულის იჯარით აღებისა.

◆ **სეზონის დასრულება.** ქართულ წარმოდგენების სეზონი დასრულდა. დრამატიულ საზოგადოების გამგეობამ გადასწყვიტა მარტსა და აპრილშიაც განაგრძოს წარმოდგენების მართვა.

◆ **სახალხო ლექცია.** ხვალ, 29 თებერვალს, საღამოს 8 საათზე, დიდუბის სამრევლო სკოლის დარბაზში წერა-კითხვის საზოგადოების სახალხო კითხვების მომწყობ სექციის თაოსნობით ქ-ნი ჩიტო შარაშიძე წაიკითხავს სახალხო ლექციას ქართულ ლიტერატურის ისტორიიდან.

◆ **საავადმყოფო კასა.** 26 თებერვალს შესდგა თბილისის ტრამვაის საავადმყოფო კასის წევრთა კრება, რომელმაც აირჩია გამგეობა და სარევიზიო კომისია. გამგეობაში არჩეულ იქმნენ წევრებად: ა. სიმონოვი, ბ-ნი საღარაძე, გ. სულაძე, ინასარიძე, ჩამპატაძე, ლორია და ვაშაყმაძე; მათ კანდიდატებად—ნაცვლიშვილი, საფაროვი, დერგუნოვი, გიგრიბიანი და წიტაიშვილი. სარევიზიო კომისიის წევრებად აირჩიეს ბაკბეუქ-მელიქოვი, ტერ-ოგანეზოვი, ლუშევინი, ფარულავა და ნაცვლიშვილი.

◆ **ქართულ სასოფლო სამეურნეო საზოგადოების სექცია.** 26 თებერვალს სექციამ აირჩია პრეზიდიუმი: თავმჯდომარედ არჩეულ იქმნა დავ. ვლ. ვაჩნაძე, თავმჯდომარის ამხანაგად დავ. ყ. ჩხეიძე, მდივნად გ. ი. კანდელაკი. ამ ჟამად წევრებად ირიცხებიან სექციაში: კ. პ. კანდელაკი, ლ. ნ. დიასამიძე, ვლ. ცაგარელი, ა. გრიგოლია, ი. გ. ქუთათელაძე, ა. კორინთელი, თ. ღლონტი, ა. კახელაძე, შ. ქარუმიძე, ეს. ავალიშვილი, რ. გაბაშვილი, მ. ნ. დიასამიძე, ს. დადიანი, დ. კახელაძე. სექციამ დაადგინა, რომ სექციის წევრები პრეზიდიუმში მიიწვიოს, სრულუფლებიანი წევრი სექციისა იმავე დროს უნდა იყვეს საზოგადოების წევრადაც. ბოლოს სექციამ მადლობა გამოუცხადა ი. გ. ქუთათელაძეს, რომელიც სექციის თავმჯდომარედ იყო დღიდან დაარსებისა (1911 წ.) დღევანდლამდე და ეხლა ამ თანამდებობაზე უარი განაცხადა.

◆ რედაქციამ მიიღო პატივცემულ ქართველ ისტორიკოსის ივ. ჯავახიშვილის ახალი ფრიად საგულისხმო გამოკვლევა „ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ეხლა. წიგნი I. ძველი ქართული საისტორიო მწერლობა“.

◆ **შემოიტანეს** თბილისში 26 თებერვალს: ბრინჯი 1 ვაგ., შაქარი 3 ვაგ., კართოფილი 1 ვაგ., მარილი 1 ვაგ., ქერი 1 ვაგ., შეშა 2 ვაგ., ნავთი 7 ვაგ., გაუწმენდავი ნავთი 15 ვაგ.

◆ **გადამდები სნეულობანი.** გუშინ, 27 თებერვალს, ქალაქის საავადმყოფოში იწვნენ: ქუნთრუშიანი 120, ხუნაგიანი 34, ყვავილიანი 1, სახადიანი 28 და სოფლიანი 11 კაცი.

ქუთაისი

6 მარტს ქუთაისის სადგილ-მამულო ბანკის დარბაზში მოხდება საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების არა ჩვეულებრივი საზოგადო კრება, რომელზედაც გარჩეული იქნება შემდეგი საკითხები: 1) საზოგადოების უკანასკნელი ორი წლის ანგარიშების განხილვა და დამტკიცება 2) სარევიზიო კომისიის წევრების არჩევა და 3) არჩევა სამი წარმომადგენლისა, რომელთაც უფლება ექნებათ დაესწრონ ქ. თბილისში ქართულ კულტურულ საზოგადოებათა კავშირის დამფუძნებელ კრებას.

ეროვნულ მიწა-წყლის დაკარგვის ეკონომიური მიზეზები

მეტია იმის მტკიცება, რომ სისტემატიურად ეროვნული ტერიტორიის შემცირება, ქართველ ერს დიდს ეროვნულ საფრთხეს უმზადებს და ჩვენი საზოგადოების დიდს ნაწილს ეს უკვე საკმაოდ შეგნებული აქვს. მხოლოდ როგორც ეროვნული მიწა-წყლის დაკარგვის მიზეზები, აგრეთვე ამის თავიდან ასაცდენი საშუალებები ჩვენ სრული სისწორით არ გვაქვს წარმოდგენილი.

ეროვნული ტერიტორიის უცხოთა ხელში გადასვლის ბრალს ჩვენში ნავსებით მემამულე თავად-აზნაურობას მიაკუთვნებენ. ისინი მამაპაპეულ საუნჯეს ათასი დესეტინობით უცხოელებზედ ჰყიდიან და მით ქართველ ხალხს ეროვნულ მიწას უკარგავენო. არსებითად ეს ასეც არის, ხოლო ამის უმთავრესი მიზეზი ჩვენი მემამულეების ცუდი მამულიშვილობა, და ეროვნული საქმისადმი გულგრილობა კი არ არის, როგორც ამას ჩვენში ბევრი ჰფიქრობს, არამედ სულ სხვა. ქართველობაში მამულის სიყვარული ძველთაგანვე ძლიერი იყო და ეს გრძნობა მასში დღესაც არ არის ჩამქრალი. მაგრამ ქართველ ხალხში და, სხვათა შორის, მემამულეთა წრეშიც რაც უნდა გაცხოველდეს ეს გრძნობა, ეროვნული მიწის თანდათანობითი შემცირება ამით არ შეწყდება მანამდის, სანამ ის ეკონომიური ურთიერთობა, რომელიც დამყარებულია ჩვენს ცხოვრებაში, არსებითად არ შეიცვლება.

ჩვენი ერი ერთ ეკონომიურ ერთეულად რომ წარმოვიდგინოთ, უთუოდ ნაკლებ სიმდიდრეს ქმნის, ვინემ ხარჯავს. წლიური მისი, ვთქვათ, შემოსავალი მის ხარჯზედ, გასავალზედ ნაკლებია. ეს მოვლენა იმით აიხსნება, რომ ჩვენი ერის ეკონომიური კეთილდღეობა ჯერ კიდევ სავსებით მეურნე გლეხის მარჯვენას ემყარება. სოფლის მეურნეს, ადამის დროის სახნისით და თოხით აღჭურვილს, მოყავს საზრდო და მით თავს იკმაყოფილებს, რასაკვირველია ძლიერ ცუდათ, და ნაწილს კი სხვა და სხვა სახით მემამულეთ, ვაჭართ და სამღვდელოებას გადასცემს. ძველად ნიადაგი უკეთესი იყო, მცხოვრებთა რიცხვიც ნაკლები და გლეხობას ადვილად მოჰყავდა იმდენი სარჩო, რამდენიც მთელს ერს მოუნდებოდა. ეხლანდელ დროში კი ძველი ცოდნით და ძველი იარაღით ეს შეუძლებელი გახდა. ასეთს სუსტს და მოუწყობელ მეურნეობას სხვა და სხვა სახის წარმოებები რომ მხარში უდგეს, კიდევ არაფერია. მაშინ ეროვნულ [illegible] მრავალი ის [illegible] და საგანი, რომელიც ეხლა სხვა ქვეყნებიდან შემოგვაქვს. ან ფართედ დაყენებული ვაჭრობა რომ გვქონდეს მოწყობილი, ვაჭრობით გაცვლილ-გამოცვლილ საქონლის ნაწილს ჩვენი ვაჭრები თავის ქვეყანაში შემოიტანდნენ და მით მის წლიურ ქონებრივ შემოსავალს გაადიდებდნენ. მაგრამ ჩვენში ჯერ არ აღმოცენებულა მრეწველობა, სუსტი და ადგილობრივი ხასიათისაა ჩვენი ვაჭრობა და თოხი და სახნისი კი ვერ ჰქმნის იმდენს დოვლათს, რამდენიც საჭიროა ეროვნული სხეულის გამოსაკვებად. დანაკლისს ჩვენ იმ უძრავ ფონდიდან ვავსებთ, რომელსაც წარმოადგენს ჩვენი მიწა-წყალი. ამ სახით ამ უკანასკნელ ხანებში მრავლად იყიდება მამულები, რითაც მემამულეთა მოთხოვნილებებს კმაყოფილდება.

ამ უძრავ ეროვნული ფონდის გაფლანგვის პროცესი რომ შეჩერდეს, ამისთვის საჭიროა მემამულეებმა თავის შემოსავლის გასადიდებლად სხვა რაიმე საშუალება გამოსძებნონ. ჩვენში მიწა უთუოდ ძლიერ ცოტა შემოსავალს იძლევა. მათ მეპატრონეთა მოთხოვნილება და მადა კი მეტად დიდია. იტყვიან, რამდენიც უნდა შემოუვიდეთ, სულ ერთია მამა-პაპეულის ფლანგვას არ დაიშლიანო. ეს „ასეც რომ იყოს, იქვე არ არის, ჩვენი თავად-აზნაურობის ნაწილი მაინც რაიმე ეკონომიურ საქმიანობაში რომ ჩაბმულიყო—კულტურული მეურნეობა იქნება ის, თუ ვაჭრობა-მრეწველობა, მათი მამულების უცხოთა ხელში გადასვლაც უთუოდ შემცირდებოდა.

ამ რიგად ჩვენი ცხოვრების მეტად მარტივად აღნუსხული ეკონომიური ვითარება ისეთია, რომ დოვლათის შექმნის საშუალებები ძველი დარჩა და ჩვენი ერი გაჭირვებით ქმნის იმოდენს სიმდიდრეს, რაც მას, იქნებ მხოლოდ საზრდოთაც არ ეყოს. სიმდიდრის მოხმარების პირობები კი ახალი დამყარდა და თუ წინეთ მემამულე ვერც კი მოახერხებდა იმის მეტის დახარჯვას, რასაც მას მისი მამული აძლევდა, დღეს, ამ ფულის ხანაში, ერთ პირს, თუ გნებავთ მთელი ნახევარი საქართველოს გაფლანგვა შეუძლიან. წლიდან წლამდის ჩვენი ერი წლიურ თავის შემოსავალს არ კმაყოფილდება და ერის ის ნაწილი, რომელსაც კი ამის საშუალება აქვს, მიწა-წყალს ნაწილ-ნაწილად ჰყიდის და ჰკარგავს.

ის მოვლენა, რომ ერთი წოდება თავის უძრავ ქონებას ჰკარგავს, ეროვნულ განსაცდელს კიდევ არ ჰქმნის. თავათ-აზნაურობის მიწათ-მფლობელობა სხვა ქვეყნებშიაც დარღვევის პროცესს განიცდის, და ჩვენშიაც ეს რომ ისეთ ნორმალურ პირობებში ხდებოდეს, როგორც სხვაგან, ეროვნული ხიფათი არ შეგვემთხვეოდა. სხვაგან მემამულე რომ მიწის გაყიდვას დააპირებს, მყიდველი მას იქვე მისი მეზობელი მეურნე, ან ვაჭარ-მრეწველი აღმოუჩნდება, და ამ სახით უძრავი სიმდიდრე ისევ ეროვნულ ფონდში რჩება. ჩვენში კი ასე არ ხდება. მემამულე რომ მიწის გაყიდვას მოინდომებს, ქართველი მყიდველი ძვირათ თუ ვინმე აღმოჩნდება. ჩვენში რომ ბლომად მოიპოვებოდეს შეძლებული მეურნე, თუ ვაჭარ-მრეწველი, აზნაურის მამულს ისინი აზრუმელ სომეხს კი არ დაანებებენ, არამედ თვითონ შეიძენდენ.

მთელი ქართველი ერი ქონებრივად ისე სუსტია, რომ როდესაც მემამულე მიწის გაყიდვას მოინდომებს, ქართველი ათში ერთ მამულს თუ შეიძენს. ეს მოვლენა განსაკუთრებით ჩვენი ქვეყნის განაპირა ნაწილებს ემჩნევა. რასაკვირველია, ქართველებშიაც ბევრია ისეთი ელემენტი, რომელსაც ეკონომიური საქმიანობით სიმდიდრე შეუძენია. ეს ელემენტები დაქსაქსული და გაფანტული არიან და ჩვენი ტერიტორიის დაცვის საქმეში მათ ჯერ არაფერი გაუკეთებიათ.

ჩვენი საზოგადოება უკვე ნათლად ხედავს იმ საფრთხეს, რომელსაც მას უმზადებს ეროვნული მიწა-წყლის თანდათანობითი შემცირება, რასაც ჩვენი ქვეყნის ეროვნული აჭრელება და ჩვენს ქვეყანაში უცხო ტომთა დამკვიდრება მოსდევს. ის ებრძვის კიდეც ამ მოვლენას, მაგრამ სრულიად შეუფერებელის იარაღით, რის გამო ამ ბრძოლას არავითარი დადებითი ნაყოფი არ მოაქვს. როდესაც ჩვენი ქვეყნის მდგომარეობა ისეთია, რომ ჩვენი ეროვნული ზღუდეები ყველასათვის ღია არის, აბა სიტყვას და გაზეთის ფურცლებზედ საყვედურს რა შეუძლია! რამდენიც უნდა უსაყვედუროთ მეზობელ ერებს—ქართველების მიწა-წყალს ნუ შეიძენთო, ამით არა გამოვა რა.

ეროვნული ტერიტორიის დაცვა

ართველი ერის ეკონომიური გაძლიერების საკითხია და თუ ჩვენმა თაო- ამ ეს ვერ მოახერხა, მომავალი ქარველობა მაინც მშობლიურ მიწა-ყლის დაცვას და დაკარგულის დაბრუნებას ხელს მიჰყოფს, არა სიტყვით, რამედ ბანკებისა და საერთოდ ეკონომიური საქმიანობის საშუალებით.

ალ. ასათიანი.

ქართული საკოოპერაციო სექცია

პარასკევს, 26 ამ თვეს, ქართულ სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საკოოპერაციო სექციამ განაახლა მოქმედება. სექციის კრებას დაესწრნენ: სექციის თავმჯდომარე ი. ქუთათელაძე, დ. ვაჩნაძე, ლ. დიასამიძე, ა. კახელიძე, რ. გაბაშვილი, თ. ღლონტი, დ. ჩხეიძე, ა. გრიგოლია, ლ. ცაგარელი, ს. დადიანი, ე. ავალიშვილი, გ. კანდელაკი, ს. ყაზახაშვილი. მთავარ განსახილველ საგნად სექციის კრებისა იყო ახალ პრეზიდიუმის არჩევა, რადგანაც თავმჯდომარემ ი. ქუთათელაძემ, ქუთაისში გადაყვანის გამო და მდივანმა დ. ვაჩნაძემ უარი განაცხადეს თანამდებობაზე.

ბარათებით არჩეული იყვნენ: თავმჯდომარედ—**დ. ვ, ვაჩნაძე**, მის ამხანაგად **დ. ყ. ჩხეიძე** და მდივნად—**გ. კანდელაკი.**

კრების გახსნის შემდეგ სექციის ახალმა თავმჯდომარემ მხურვალე მადლობით მოიხსენა ქართულ კოოპერატიულ სექციის ყოფილ თავმჯდომარის ი. ქუთათელაძის დაუღალავი მოღვაწეობა საზოგადოდ ქართულ საკოოპერაციო საქმეში და აღნიშნა მისი ენერგიული თავგამოდებული მუშაობა ქ. ს. ს. საზ. კოოპერატიულ სექციაში და უსურვა ბ. იოს. ქუთათელაძეს დასავლეთ საქართველოს კოოპერატორებთან ერთად ღონე იღონოს, რათა დასავლეთ საქართველოს კოოპერატიული საქმე აღმოსავლეთ საქართველოს კოოპერაციას დაუახლოვოს და შეერთების გზაზე დააყენოს.

საკოოპერაციო სექციის დადგენილებით სექციის მუდმივი სხდომების დღედ—ორშაბათი აირჩიეს. შემდეგი სხდომა სექციისა მოხდება ორშაბათს, 29 თებერვალს, საღამოს 8 საათზე.

მხატვრების კავშირი

ამ რამდენიმე დღის წინად სამეურნეო ბანკის დარბაზში შესდგა ქართველ მხატვრებისა და ხელოვნების მოყვარულთა მეორე კრება. კრების თავმჯდომარედ, როგორც პირველად, ისე ეხლა არჩეულ იქმნა გ. დ. ჟურული. წინანდელ კრების ოქმის წაკითხვის შემდეგ განიხილეს საბოლოოდ შემუშავებული წესდება, რომელიც ერთხმად მოწონებულ იქმნა. წესდების მთავრობის წინაშე წარსადგენად და დასამტკიცებლად ამორჩეულ იქმნენ შემდეგი პირნი: ექვთიმე თაყაიშვილი, ალყანჩელი, გ. დ. ჟურული და სხვები.

დასასრულ კრებამ დაადგინა: მხატვრებისთვის სამუშაო ბინის შოვნას ეხლავ შეუდგნენ და რამდენიმე დასახელებული ბინა ინახულონ თვით ამორჩეულმა მხატვრებმა.

საყურადღებო ნაბიჯი

პარასკევს, 26 თებერვალს, თბ. გუბერნიის წინამძღოლთა და დეპუტატთა შეერთებულმა კრებამ მოისმინა სოფლის მეურნეთა თხოვნები სამეურნეო დახმარების შესახებ და ამ საგანზე ხანგრძლივი მსჯელობა იქონია. გამოირკვა, რომ რუსეთში ერობანი და სახელმწიფო დაწესებულებანი ათასნაირ დახმარებას უწევენ იქაურ მეურნეთ: სესხით, მანქანებით, მუშათა არტელების მოწყობით და სხვა, ჩვენში სოფლის მეურნენი ამგვარ ზრუნვას სავსებით მოკლებულნი არიან, რამაც შეიძლება სოფლის მდგომარეობა განსაცდელში ჩააგდოს. ამის გამო თბ. გუბ. თავ.-აზნ. წინამძღოლთა და დეპუტატთა კრებამ მოვალეობად მიიჩნია აქტიური დახმარება გაუწიოს სოფლის მეურნეთ და დაადგინა: 1) შემუშავდეს ფორმა საანკეტო ფურცლებისა და დაეგზავნოს სოფლის მეურნეთ, მათ საჭიროებათა გამოსარკვევად; მოსული ცნობები სპეციალისტთაგან დამუშავდეს და შემდეგ წარედგინოს მეურნეთა სამაზრო კრებებს. 2) იყოლიოს აგენტები და ბიუროები მუშათა არტელების მოსაწყობად; ამისათვის იშუამდგომლოს მთავრობის წინაშე სპარსეთიდან მუშების გადმოყვანის შესახებ. 3) იშუამდგომლოს მთავრობის წინაშე, რათა სოფლის მეურნეთ სახელმწიფო ბანკში სესხი აძლიონ სოლო-ვექსილით. 4) მოქმედება უნდა სწარმოებდეს სამაზრო ყრილობათა რეზოლიუციების მიხედვით.

ერობა ამიერ-კავკასიაში

ადგილობრივ თვითმართველობის კომისიაში განიხილეს კანონ-პროექტი კავკასიაში საერობო დაწესებულებათა შემოღებისა. პაპაჯანოვმა მოითხოვა დაუყოვნებლივ შემოიღონ ამიერ-კავკასიაში. ამიერ-კავკასია სრულიად მომზადებულია საერობო თვითმართველობის შემოსაღებად, ეს საკითხი ამ 10 წლის წინად აღიძრა. ეხლა კავკასიის მეფისნაცვალიც მომხრეა ერობის შემოღებისა. საჭიროა მხოლოდ საკანონმდებლო დაწესებულებათა მიერ მისი დაკანონება. რადგანაც ომიანობის გამო მთავრობამ ვერ დაამზადა შესაფერი კანონ-პროექტი, თვითონ საკანონმდებლო დაწესებულებამ უნდა იკისროს ეს საქმე.

კომისიამ სურვილი გამოსთქვა, რომ კანონ-პროექტი მალე შემუშავდეს და სათათბიროს წარედგინოს.

ი. გოგებაშვილის სახელმძღვანელოების გამოცემა

განსვენებულ ი. გოგებაშვილის რუსული ენის სახელმძღვანელოის პირველი ნაწილი ხელახლად იბეჭდება. იბეჭდება, როგორც გვითხრეს, სრულიად შეუცვლელად, მიუხედავად იმისა, რომ ოცდა მეთხე (1915 წლის) გამოცემა სავსეა შეცდომებით, რომელთა გაუსწორებლად დატოვება მოსწავლეთაც ავნებს და წიგნსაც სახელს გაუტეხს.

რამდენიმე მაგალითიც იკმარებს ამის დასამტკიცებლად:

ჩაქუჩის ტარი (ручка) თარგმნილია სახელურად (გვ. 52); გამჭვირვალეს მაგივრად прозрачный თარგმნილია „გასაჭვრეტი“ (80); იმავე გვერდზედ სწერია, წიგნი გაკეთებულიაო (книга сдѣлана); умирать (კდომა) თარგმნილია სიტყვით „მოკვდინება“ (86) думать—ფიქრობა; живѣй თარგმნილია სიტყვით ცოცხლად და არა მკვირცხლად; ჩვენი შალვარი ყველგან „პანტალონად“ არის ქცეული, თუმცა პანტალონი... ან კიდევ: курица худо сидитъ; ელენე ეგზამენს „იჭერს“; люди садятся около стола; карандашъ дѣлаетъ фабрикантъ...

გოგებაშვილი აღარ არის, მართალია, მაგრამ გოგებაშვილის მიერ დატოვებულ ძვირფას განძს, რომელიც უმთავრეს წყაროს შეადგენს წ. კ. გ. ს. შემოსავლისას, მით უფრო მეტი მზრუნველი და მომვლელი უნდა ჰყავდეს. და ჰყავს კიდეც: საზოგადოების გამგეობა ცალკე და პედაგოგიური სექცია ცალკე.

მაგრამ, მგონია, სწორედ აქ გამოდგეს საწყალი დედაკაცის, შვიდი შვილის დედის, პასუხი, მეფე ერეკლეს რომ მოახსენა: ერთი მყავდეს და შენისთანაო.

როგორც ეტყობა იმ დედაკაცივით დაობლებული დარჩება ჩვენი საქმე, თუ კვლავაც გავჩუმდით, როგორც აქამდინ ვიყავით გაჩუმებულნი: გვეგონა, სახელმძღვანელოების კრიტიკული განხილვა წ. კ. გ. ს—ის ავნებსო.

ნამდვილად კი სულ სხვა გამოდგა:

კრიტიკის ქარცეცხლისაგან უზრუნველყოფილი წიგნები ნელნელა უკან ჩამორჩა მოთხოვნილებას და ამზადებენ ნიადაგ, რომელმაც უკვე შეჰქმნა მეტოქე სახელმძღვანელო და კვლავაც შექმნის, თუ გამოცდილმა, მცოდნე პედაგოგებმა, ხმა არ ამოიღეს და დაწვრილებით და მიუდგომლად არ განიხილეს ყოველი ნაკლი და შეცდომა გოგებაშვილის სახელმძღვანელოებისა.

შეიძლება სთქვან: წიგნი ვარგოდეს, თორემ სულ ერთი არ არის, ვისიც უნდა იყოსო? არა, ერთი არ არის: კარგი წიგნის შემოსავალს წ. კ. გ. ს. საზოგადო საქმეს მოახმარებს და კერძო პირი კი კერძოდ მოიხმარება.

ი. მაჭავარიანი.

ვაჭრობა და მრეწველობა

კახელ მევენახეთა საზოგადოება „კახეთი“

(1914 წ. ღვინობისთვიდან 1915 წ. ღვინობისთვემდე)

გასული წელი „კახეთი“-ს საზოგადოებისთვის მეტად მოგებიანი ყოფილა. თუ 1914 წელმა ამ საზოგადოების მატიანეში გაყიდული ღვინის რაოდენობით პირველი ადგილი დაიჭირა 1915 წელმა მოგების მხრივ ყველა სხვა წლებს გადააჭარბა. 1915 წ. საზოგადოებას **გაუყიდია** 65.327 ვედ. ღვინო—352.300 მანეთად. 1914 წელს კი—92,290 ვედ. 327,429 მანეთად. გასულ წელს ღვინის **საშუალო ფასი** ყოფილა ვედ. 5 მ. 38 კაპ. 1914 წ. კი—3 მ. 55 კაპ. გასული სამეურნეო წელი დაწყებულა ღვინის ფასით ვედ. 3 მ. 49 კაპ.; წლის გასავალში ღვინის ფასი 8მან. 37 კაპ. ასულა.

გასულ წელში „კახეთი“-ს საზოგადოებას 126 **ათას მანეთზედ მეტი ვალი გადაუხდია** და ამ ჟამად საჩქარო ვალები მას თითქმის სულ არ მოეპოვება.

საზოგადოების **განყოფილების** მდგომარეობა გასულ წელში ერთნაირი არ ყოფილა. საერთოდ ღვინით ვაჭრობის აღკრძალვასა და ღვინის გადატან-გადმოტანის გაძნელებას ყველა განყოფილებები დაუზარალებია. ასხაბადის და ტაშკენტის განყოფილებათ უფრო ცუდი მდგომარეობა განუცდიათ.

გასული წლის „კახეთი“-ს საზოგადოების **წმინდა შემოსავალი უდრის 103.642 მან. 40 კაპ.** ამ ჟამად საზოგადოებას 221 წევრი ჰყავს.

კავკასიის სავაჭრო სამრეწველო ბანკის საორგანიზაციო კრებამ, რომელიც შესდგა თბილისში 20 თებერვალს, როგორც ჩვენს გაზეთში მოყვანილი გვქონდა, გადასწყვიტა მოკლე დროში ბანკის გახსნა და ამ მიზნით დაადგინა 10—20 მაისისთვის შეკრებილ იქმნეს პაიზედ 100 მან. ე. ი. აქციონერული კაპიტალის 40 პროცენტი. კრებაზედ წაიკითხეს მოხსენებები—თბილისის კომიტეტის სახელით--პ. გოთუამ; ბაქოს კომიტეტისაგან—ბანკის დამაარსებლებმა—თავ. ი. ი. დადიანმა, კ. ი. ჯაყელმა და კ. ი. მამულაიშვილმა; ქუთაისიდან—რ. ყ. დათეშიძემ და ი. გ. კემულარიამ; კავკავიდან—თ-დ ი. მ. ლორთქიფანიძემ; გორიდან—დ. ი. მაჭავარიანმა და სოლოღაშვილმა, სოხუმიდან—გ. გალდავაძემ; ფოთიდან—ქავთარაძემ; სამტრედიიდან—სტურუამ, ხონიდან--ბახტაძემ, ყვირილიდან—გეგენეიშვილმა, ჭიათურიდან—გრიგორაშვილმა და სხ.

——

მრეწველ ტ. რ. კამილოვს ბარათაშვილის და ბაქრაძის მიწაზედ „სიპი ღელეში“ შორაპნის მაზ. ქუთ. გუბ. ვერცხლის მადნის დამუშავების ნება მიეცა.

——

კნ. ე. ი. თარხან-მოურავისამ ნავთის წარმოების დასაწყებად საბუნჩაში, ბაქოს. გუბ. ნებართვა აიღო.

——

ბ. ა. ზედგინიძემ ვერცხლის და ტყვიის მადნის საძებრად ბორჩალოს მაზრაში ბეიუკ-გინეიში ნებართვა მიიღო.

——

მეტად კარგი ხარისხის ქვა-ნახშირის მადანი აღმოჩნდა დ. საჩხერეს მახლობლად შორაპნის მაზ. ქუთ. გუბ.

——

აზნ. დ. კ. ზუბალაშვილის ნავთის მიწები შემახის მაზრ. ბაქ. გუბ. ნოტარიალური ანდერძით გადაეცა დ. ი. ზუბალაშვილის ასულს.

——

მეფის ნაცვალმა **„კავკასიის სპილენძის მრეწველობის ამხანაგობას“** ინგლისურ კომპანიიდან „სპილენძის ამხანაგობა მურღულის ხეობაში“ ართვინის ოლქში ხუთი მადნიანი მიწის შეძენის ნება მისცა.

——

აბრეშუმის თესლის მოსატანად მიწად-მოქმედების სამინისტრომ იტალიაში თავისი მოხელე გაგზავნა. 16,000 კოლ. თესლი მოტანილ იქმნა. მსურველთ შეუძლიათ შეიძინონ პარტიობით, არა უმეტეს 5 კოლოფისა, თბილისის საბრეშუმო სადგურში ანუ სადგურის ქუთაისის განყოფილობაში, 1 აპრილამდე.

——

პეტროგრადის ბირჟაზედ **საადგილმამულო ბანკების საგირავნო** ფურცლები ფასობდა.

მოსკოვის საად. მ. ბანკის 78 მ. 50 კაპ. დონის—74 მან. 75 კაპ. **თბილისის** სათავა-აზ. ბანკის—77 მან.

ქუთაისის მიხაილის სათავად-აზ. ბანკის—69 მან. 13 კაპ.

ნავთი ბაქოში გაწმენდილი ფასობს ფუთი—50 კაპ.

ქაღალდი რუსეთის ზოგიერთ ქალაქებში სრულებით გამოილია. ფასმა ხუთ-ექვსჯერ მოიმატა.

ნახშირი. ქვა-ნახშირის წარმოების მოსაწესრიგებლად არსდება სანახშირო ინსპექცია, რომელმაც უნდა გამოიკვლიოს და მოაწესრიგოს ნახშირის საჭიროებები მრეწველობის სხვა და სხვა დარგში.

სახელმწიფო სათათბირო

26 თებერვლის კრება.

როძიანკო თავმჯდომარეობს. სინოდის ხარჯთ-აღრიცხვას იხილავენ.

ალფეროვი. საჭიროა ეპისკოპოსებს საკანცელარიო საქმეები ჩამოერთვას. მღვდლებს ჯვარის-წერის საქმე უნდა გაუადვილოთ და პოლიციურ ცნობების შეკრებისაგან განვათავისუფლოთ. საჭიროა საეკლესიო ყრილობა და კონსისტორიაში ცვლილების შეტანა. მედავითნეების მდგომარეობა შეიძლება გაუმჯობესდეს, თუ მათ მთავარდიაკვნებად აკურთხებენ.

სკობელევი. თავმჯდომარის განკარგულებით მისი სიტყვა ვერ გამომქღავნდება. (კრება შესწყდა და 1 საათის მერე განახლდა).

სკობელევი აღნიშნავს: სინოდისათვის მილიონები იდება ხაზინიდან და მთავრობაც სამაგიერო სამსახურს მოითხოვს მისგან. ამგვარად ეკლესია სახელმწიფოს დაექვემდებარა და სარწმუნოება მმართველთა ხელში დამონების იარაღად იქცა. აქედან მომდინარეობს ჩვენი ეკლესიის დამოკიდებულება სომხეთა, ქართველთა და სექტანტების ეკლესიისადმი. ბაპტისტები, მმართველთა განმარტებით, ვილჰელმის შვილებად მიიჩნიეს.

საეკლესიო საქმეების მოსაწესრიგებლად საეკლესიო ყრილობას უნდა მიჰმართონ და არა სათათბიროს, რომელიც რუსების სათათბირო კი არ გახლავთ, არამედ რუსეთისა. თუმცა საეჭვოა რომ საეკლესიო ყრილობამაც რაიმე მალამო დასდოს საქმეს. მხოლოდ ეკლესიის სრულიად ჩამოშორება სახელმწიფოსაგან თუ უშველის საქმეს. ამის გამო სოც.-დემ. სინოდის ხარჯთ-აღრიცხვას ხმას არ მისცემენ.

ვარუნ-სეკრეტი თავმჯდომარეობს.

მღვ. ფილონენკო მოითხოვს რომ განქორწინების საქმეები საზოგადო სასამართლოს დაექვემდებაროს.

ჟილინი პირველი. პეტრე დიდის რეფორმამ ეკლესიას ყრილობის ხასიათი დაუკარგა და ცენტრალიზმი გაამეფა. ამან კი წაართვა მას სიტყვის თავისუფლება.

მღ. გეპეცკი საჭიროდ სცნობს საეკლესიო ყრილობის მოწვევას.

კამათი შესწყდა.

მომხსენებელი [illegible]ოტულოვი. საერთო სურვილი [illegible] რომ საჭიროა რაც შეიძლება [illegible] მოიწვიონ საეკლესიო ყრილობა.

მღ. რუდნიკი. მთავარ დაწესებულებათათვის სულ 379,795 მანეთს თხოულობენ, ეს ძალიან ცოტაა.

მარკოვი მეორე. საეკლესიო საკითხები რომ სათათბირომ გადასწყვიტოს, ამ გადაწყვეტაში მონაწილეობას მიიღებენ არა-მართლმადიდებელნიც. ამის გამო, მემარჯვენეთა სახელით აცხადებს, მე-3 და მე-4 მუხლს მხარს არ მივცემთო.

გოდნევის აზრით, საჭიროება არ მოითხოვს რომ ეპისკოპოსად უსათოდ ბერი იყოს. სინოდის ობერ-პროკურორს მიჰმართავს, ეცადეთ რუსეთში ეპისკოპოსად ბერი აღარ იყოსო.

ბაქოს ამბები.

კითხულობენ კავკასიის მეფის ნაცვლის დეპეშას ბაქოს ამბების გამო, სადაც დაწვრილებით არის აწერილი ბაქოში მომხდარი ამბები.

ამ საკითხს სათათბირო მახლობელ სხდომაზე განიხილავს.

ხმა სურამიდან

მესამე წელიწადია, რაც სურამის სასამართლოს განყოფილების მომრიგებელ მოსამართლედ დანიშნულია რაჟდენ რომანის ძე გაგუა. ბ. გაგუამ, თავისის კეთილშობილურის მოქმედებით, პატიოსანის და მიუდგომელის სასამართლოს საქმეების წარმოებით—დიდი ყურადღება და სიყვარული დაიმსახურა ამ მხრის გლეხობისა და საზოგადოების შეგნებული ნაწილისა. დღიდან მისი ამ თანამდებობაზე დანიშვნისა, სურამის სასამართლოში დამყარდა: კანონიერება, მიუდგომლობა, წესიერება და ბევრი ისეთი რამ საყურადღებო, რასაც იშვიათად თუ შეხვდებით პროვინციის სასამართლოებში. ქართლელმა გლეხმა, რომლის ყურიც სრულიად არ იყო მიჩვეული სამართლიანის ხმის გაგონებას დაწესებულებაში, პირველად ისმინა ბ. გაგუას პირით ქართულად, თავის სამშობლო ენაზე კანონების კანონიერის გზით მიმდინარეობა და უსაზღვრო პატივისცემით აივსო მისდამი. ბ. გაგუამ შესდგა თუ არა ფეხი სასამართლოს დარბაზში, უპირველესად ყოვლისა შეუდგა იქ არსებულ მძიმე ატმოსფერის გაწმედას და ეს განზრახვა—სისრულეშიაც მოიყვანა: დარბაზიდან განდევნა „აბლაკატები“, რომელნიც სოფლელ ხალხს ტყავს აძრობდნენ და კანონიერად საქმეების მსვლელობას ხელს უშლიდნენ, სასამართლოს ზოგიერთა თავვასულ მოხელეებს ფრთები შეაკვეცა და თავიანთს მოვალეობაზე მიუთითა, შეძლებისადაგვარად მოსპო და შეამცირა ცრუ მოწმეთა ხეტიალი სასამართლოში და სხვა. ერთი სიტყვით სასამართლოს პრესტიჟის ამამაღლებლად ბ. გაგუამ ყოველგვარ საშუალებას მიმართა.

სამწუხაროდ, პატიოსანს მოსამართლეს ბნელი ძალები აუმხედრდა და ბრძოლა გამოუცხადეს. როგორც სარწმუნო წყაროებიდან გავიგეთ, ამ საზოგადოების ნაძირალებს ცილისწამებით აღსავსე „დანოსი“ გაუგზავნიათ ამ პატივცემულს პირზე სადაც ჯერ არს; აბრალებენ მიმხრეობას, ქრთამების აღებას, საქმეების ქართულ ენაზე წარმოებას და სხვას და სთხოვენ უფროსს: მოგვაშორეთ ეს მავნე კაცი და რუსი გამოგვიგზავნეთო. ამით არ გა-

სოფელი და სოფლელები

სოფ. მგალობლიშვილის მოთხრობებში.

(კრიტიკული მიმოხილვა)

(გაგრძელება. იხ. „საქართველო“ № 45)

ბ. სოფ. მგალობლიშვილმა თავის მოთხრობებით სოფლელ ქალების საინტერესო ტიპიც დაგვიხატა. მოთხრობაში: „ცვრევაზე“ მწერალი გვაცნობს სოფლელ ქალის ახალს ტიპს, (ნინო), რომელიც არ ემორჩილება სოფლურ ტრადიციებს ცოლქმრობის შესახებ და თვის ნებით და სურვილით, წინააღმდეგ დედ-მამის ნებისა ჯერ ჩენდება თვის საყვარელ გიორგის და მერე კი ცოლად გაჰყვება.

დედ-მამას სურთ თავისი „მთელი სოფლის ბადალი ნინო“ თუ აზნაურს არა, კარგი ოჯახის შვილს ვინმეს—„სარწყავის ხალხს“ მაინც მიათხოვონ. გიორგის კი—ამ ახოვანს, მშრომელს, „მოხდენილს და კოხტა ბიჭს“—წუნობენ იმისთვის, რომ ობლობაში გამოზრდილია, ხელ-მოკლეა და დედა მისი „კარ და კარ ნახეტიალია“ ქვრივობის დროს.

სულ სხვა აზრისაა ნინო; მისი არსება, მისი ახალგაზრდული ოცნება გიორგისაკენაა მიზიდული. თვისს გულის ნადებს, სურვილს და წადილს ნინო თავდაპირველად მალავს, მას ერიდება დედ-მამის წყენისა. მაგრამ როდესაც შეიტყობს, რომ დედ-მამას იდეალად მხოლოდ გვარეულობა და სიმდიდრე დაუსახავს და ამ თვალსაზრისით მისი ბედიც გადაუწყვეტია, მაშინ ნინო პირდაპირ და გაბედულად უცხადებს მშობლებს თავის რწმენას და გადაწყვეტილებას.

— „საჭირო არ არის; მე არც აზნაური მინდა და არც ქილებით ფულები; მე კარგად ვიცი, ვისაც შევირთავ“, ეუბნება დედ-მამას და მერე, მოღრუბლული სახით, რომელშიაც მრისხანებაც გამოსჭვიოდა და გაბედულობაც, გადის ბანზე“.

ასეთი პასუხი უჩვეულო და თითქმის უმაგალითო იყო დედ-მამისთვის. „გაბრიელ და ელისაბედ (დედ-მამა), როგორც ამბობს მწერალი, დაშრენ, დაშეშდნენ; გული დაუთუთქათ ქალის სიტყვებმა. ქმარი ცალი ხელით ხელეჩოზე დაეყრდნო, ცალი ქამარში ჩარჩა. ცოლმა თავშალს ყურები ჩამოსწია სიმწარით, ორივე ხელები მოკეცილ მუხლებზე დაიბჯინა და ცოტათ წამოიწია მიწიდან. ორივე გაოცებით, გამოცეტებულებსავით გაიყურებოდნენ დერეფნის კარისაკენ, სადაც მათი დამთუთქი ნინო გავიდა. რამდენსამე წამს დარჩნენ ამ უძრავ, გაოცებულ მდგომარეობაში. არც ერთს არ ეჯერებოდა ნინოს სიტყვები. ერთსა და იმავე დროს გაბრიელმაც და ელისაბედმაც გაიფიქრეს, რომ ეს უთუოთ ეშმაკეული თუ მოევლინათ, რომელსაც სურს მათ მშვიდობიანი, აუღელვებელი და მყუდრო ცხოვრება აუმღვრიოს, მოუშალოს და ეს ნაქები და დოვლათიანი ოჯახი პირქვე დაამხოს... ერთსა და იმავე დროს ორთავე ცოლ-ქმარმა პირჯვარი გამოისახეს, ორთავეს გული გაუქანდათ სალოცავებისაკენ. ვერ წარმოიდგინეს, თუ ის სიტყვები ნინოს ეკუთვნოდნენ. ელისაბედს გულმა აღარ მოუთმინა, წამოდგა, ჩავიდა დარბაზში, რომლის კარები სიფრთხილით შეაჭრიალა, თითქოს არავის შეწუხება არა სურსო, უნდა დარწმუნებულიყო ნინო იქ იყო, მართლა ის გავიდა, იმან გააშმაგა და ცეცხლი მოუკიდა მშობელს ძუძუებზე თუ მართლა ბოროტი სული გამოეცხადათ. ელისაბედა მსწრაფლ გამობრუნდა, მივარდა ქმარს, როგორც გაალმასებული ძუ ვეფხვი და დაბალის, მაგრამ გამწარებულის ხმით უთხრა: „ოჯახი დაგვეღუპა, ეს რას მოვესწარით. ნეტავი, შვილო, გველი გვეშობა და შენ არა“. ელისაბედმა ვეღარ შეიმაგრა თავი, აღუღდა, ჩაკუჭკუჭდა და მდუღარება გადმოსკდა თვალებიდგან. „—შენმა მამის სულმა რა მიყოს, შენმა მამის სულმა, თუ შენ რა გიყო!“—შეელაპარაკა გაბრიელი თავის ქალს დერეფნის ერდოში, „შენს ფეხს დავკრავ ფეხზე, თუ შენ რაზმაძიანთ გიორგის მიქცემ“. აი როგორ შეეჯახნენ ერთმანეთს „მამათა“ და „შვილთა“ რწმენა. თუმცა ნინო გაუნათლებელი, უსწავლელი სოფლის შვილია; თუმცა ის ძველებურ, პატრიარქალურ ატმოსფერაში აღიზარდა,—ისეთ ატმოსფერაში, სადაც დედ-მამის ნებასურვილი კანონი იყო შვილებისათვის, მომეტებულად ქალებისათვის, მაგრამ ახალგაზდა უმანკო გული, ქალ-ვაჟურ აღგზნებულ სიყვარულით შეპყრობილი, უკარნახებს ნინოს შეებრძოლოს სიყვარულის საკითხში მამა-პაპისაგან დაკანონებულს და დამტკიცებულს შეხედულობას, რწმენას. ვინ არ იცის, რომ ხანდისხან გაურყვნელი და საღი გული უფრო მეტს იტყვის და გააგებინებს ადამიანს, ვინემ მშრალი მოსაზრება და მსჯელობა, წიგნებიდან ამოკითხული უსულო სენტენცია და ქადაგება.

ჩვენის აზრით, ნინოს აშკარა და საბუთიან პროტესტს საფუძვლად უდევს ალღო თავის დაცვისა და ბედნიერებისაკენ მისწრაფებისა, და არა შეგნებული და დასაბუთებული რწმენა. დედ მამის წინააღმდეგ მისი ამხედრება მოწმობს, რომ ნინო მაგარის ხასიათისაა და საზოგადოდ რჩეული ადამიანია. და როგორც ასეთი, ის, რასაკვირველია, ვერ ურიგდება თავის პიროვნების და პირადის გრძნობის ჩახშობას და შებღალვას. ნინო გრძნობს, რომ სოფლის რწმენა და შეხედულობა მისთვის ბნელი ციხეა, სადაც უნდა მოიშხამოს მისი ყმაწვილური გრძნობა. ამისთვის ცდილობს როგორმე შეანგრიოს ამ ციხის კარები, იმასაც ხედავს, რომ ამ კარებს დარაჯად მისი დედ-მამა უდგია და რომ მათი მოსყიდვა და დაყუათება არაფრის ღონით არ შეიძლება. ნინო იძულებული იყო ისეთს გადაწყვეტილებას დასდგომოდა, ისეთი „საქმე ჩაედინა“, რომლის მსგავსი იმათ სოფელში არ მომხდარიყო, ე. ი. ღამე გიორგისთან მისულიყო და დანებებოდა. ს. მგალობლიშვილს მშვენივრად აქვს აწერილი ეს ფსიხოლოგიური მომენტი,—მომენტი ახალგაზდა უმანკო ქალში ორი ერთი მეორის მოწინააღმდეგე გრძნობის ბრძოლისა და გულის გონებაზე გამარჯვებისა. გრძნობის გამარჯვებას ლოღიკურად ვნებათაღელვის გამარჯვება მოჰყვა: „ორი ნორჩი, ედემს ნაზარდი ალვის ხე, ხელ გაპყრობილნი გაქანდნენ და შეიწმახნენ, როგორც ფოთოლი ხეზე: ტუჩი-ტუჩს დააწებეს, როგორც მტრედი შეაწებებს ხოლმე ნისკარტს თავის ხუნდს, როდესაც მოაქვს მასთან სასმელ-საჭმელი; გული-გულს შეუერთეს და სული-სულს ჩაურთეს: ერთი მეორის გულს ჩაძვრნენ“. გონს მოსულნი შეყვარებულნი აი რას ეუბნებიან ერთმანეთს:

— მამა ჩემი დიდ უარზედ სდგას, არ მივათხოვებ გიორგისაო; აქაურ ღრუბელს არ დავანახვებო.

— მეტი ღონე არ ექნებათ, სოფელში რომ გახიახთება ჩვენი საქმე, დაყაბულდებიან... ნაყოფს რომ დაინახვენ, ჯანიც გავარდებათ“.

და სწორედ ასეც მოხდა.

ამ მოთხრობაში ავტორს კოხტად აქვს მოთხრობილი სოფლის რჩეულ ახალგაზდათა სიყვარულის ისტორია. თუმცა ამავე დროს უნდა შევნიშნოთ, რომ ეს აღწერა რამოდენიმედ იდილიურის ელფერისაა. ვიმეორებთ: ნინო ახალი ტიპია. დამოუკიდებელის და ღრმად მგრძნობიარე ქართველის ქალისა. ეს ტიპი ჩვენს მწერლობას დღემდის არ გამოუყენებიათ ლიტერატურულ მასალად და არ გაუშუქებიათ უფრო ღრმად ეს სიმპატიური სახე. სამწუხაროდ, როგორც ზემოდ აღვნიშნეთ, ქართული ტიპები საზოგადოდ უშთამომავლოდ რჩებიან. მათი უნაყოფობა, მათი უძეობა ჩვენი მწერლობის მშობლიურ ლიტერატურის უცოდინარობის ბრალია.

იპ. ვართაგავა.

(შემდეგი იქნება)

თავებულა საქმე. ამ ბოლო დროს სხვა საჩივარიც გაუგზავნიათ გორის მაზრის უფროსისათვის და აბრალებენ ბ. გაგუას პოლიტიკურ არა-საიმედობას, ვითომ პოლიტიკურის ხასიათის კრებებს მართავდეს სახლში და სხვა. რა თქმა უნდა, არც სასამართლოს უფროსმა და არც ადმინისტრაციამ ამ უსახელო და უსაფუძვლო საბუთებს ყურადღება არ მიაქცია; მაგრამ „დანოსი“ უშედეგოდ მაინც არ დარჩა და ასეთი საჭირო და ყოველის მხრივ პატიოსანი მოსამართლე გადაიყვანეს ბორჩალოს მაზრაში და მის მაგიერ დანიშნეს რუსი მოსამართლე. პატივცემული მკითხველი ალბად მიხვდება რაშია საქმე და რის მუცლის გვრემაც ჰქონებიათ უსახელო „დანოსების“ დამწერთ!..

სურამის საბოქაულოს მცხოვრებთა შეგნებულს ნაწილზე მეტად მძიმე შთაბეჭდილება მოახდინა ბნელი ძალების ამ სამარცხვინო და შეუფერებელმა მოქმედებამ და გმობს მათ მდაბალ საქციელს.

ბ. გაგუა-კი, ისევე იმ პატიოსან ადამიანათ დარჩება ყველა ჩვენთაგანის გულში, ვუცხადებთ სრულს თანაგრძნობას და ვუსურვებთ, რომ იქაც, ბორჩალოს მაზრაშიც, თავის ტიოსანი მოვალეობა ჩვეულებრივის გზით განაგრძოს და ისეთივე სიყვარული დაიმსახუროს, როგორც ჩვენა ვგრძნობთ—მისდამი.

ხელს აწერს 94 კაცი.

მოცლილი ხალხი

ცხოვრებამ ბევრი რამ იცის უცნაური, მაგრამ ის, რაც ამ ომის გამო ხდება, ყველაფერს აღემატება. წინად ერთი-ორი მოცლილი კაცი რომ გამოჩენილიყო, თვალში გვეჩხირებოდა, რას დალაყუნობს, ნუთუ არაფერი აქვს გასაკეთებელი, რომ ასე დაეხეტებაო. დღეს ასეთ მოცლილად მთელს ერს ვხედავთ და ეს არ გვაკვირვებს, არა თუ არ გვაკვირვებს, არც კი ვამჩნევთ, ისე გვერდს ვუხვევთ, თითქოს არ დაგვენახოს. სხვა დროს და სხვა პირობებში კი ვინ იცის რა არ გვეთქვა, ან რა განცვიფრებაში არ მოვსულიყავით. არა გჯერათ? მიიღეთ მაგალითი: როგორც გვეხსომება, ომის დაწყებისას სერიოზულ კილოთი დაიწყეს იმისი მსჯელობა, გვმართებს თუ არა მოკავშირეებს ომის შემდეგ კიდევ რამედ ვიწამოთ გერმანელთა მეცნიერებაო! კატეგორიული პასუხი დასტურსა სცემდა: არაო! რაკი ასე გარდაწყდა, მაშინათვე მოჰყვნენ მეცნიერთა განქიქებას. წარმოიდგინეთ, კანტიც კი ჩამოახრჩეს, კანტი, ეს ჩვენი წამებული საუკუნისთვის ერთგვარი მანუგეშებელი ქრისტე! კანტი მილიტარისტად მონათლეს! წარმოიდგინეთ, ამ შავბნელი ომის მოციქულად, ტრიბუნად!

რაკი კანტი ჩამოხრჩობილ იქმნა, ეხლა რიგი ხელოვნებაზეც მიდგა. კიდევ რაღაცა ტრადიციული შიში და მოკრძალებაა რომ გიოტე-შილლერის შესახებ არა სთქვეს-რა, სხვები კი... კანტის გვერდით საბრალმდებლო სკამზე დასვეს.

ახლა რიგი მუსიკოსებზეც მიდგა. „Le Renaissance“-სში, მაგალითად, დაბეჭდილია ანკეტა საფრანგეთმა მომავალში ადგილი უნდა დაუთმოს ვაგნერის მუსიკას თუ არაო! სასაცილოდ არ მიიღოთ, ანკეტა სერიოზულ კილოთი მოუხდენიათ და პასუხიც თითქმის საფრანგეთის გონებრივ სალაროს დამამშვენებელ კერპებს მიუციათ. პასუხი აქაც კატეგორიულია, რა თქმა უნდა, უარყოფითი! მაშასადამე, ვაგნერიც კანტის გვერდით უნდა ჩამოიხრჩოს, ეს ის ვაგნერი, რომლის პარსიფალის გამო გადაირია საფრანგეთი, როდესაც პირველად დასდგეს იგი „Grand Opera“-ში. მახსოვს, ყველა ჟურნალ-გაზეთობა რა ზეიმით შეეგება ვაგნერის ამ საუცხოვო სულის აღმფრთოვნებელ მუსიკას. ოცდა-ათი წლის ვეტო თვით ქურუმის მიერ, რომ პარსიფალი არსად დაედგათ, დიდის მოთმინებით გადაიტანა მთელმა ევროპამ და აჰა, რაკი ვადა გავიდა, მთელი წლის განმავლობაში ასტეხეს განგაში, ასტეხეს ისე, როგორსაც სჩვევია სენსაციისთვის გადარეულიი ფრანგი ხალხი, მოუთმენელი მოლოდინი, საგანგებო დეკორაციების ხატვა, კენჭის ყრით როლების განაწილება, ჰაი-ჰუი და... სამღრთო მისტერიად აღიარება, საღმრთო სიმფონიად მონათვლა ამ უმაღლესი განძისა კაცობრიობის შემოქმედებაში! წარმოიდგინეთ, ამ სახელოვანი ნაწარმოებისთვის ადამიანებს მეტად ტლანქ არსებად სთვლიდნენ, არც ერთი მსახიობი არ აკმაყოფილებდათ თვითონ პარსიფალის როლში: ის მაინც ის არ არის, ღვთაებრივი უნდა იყოსო! ასევე ამბობდნენ ამ ფორტას შესახებ, ასევე ითქვა კუნდრის შესახებ, ასევე ამბობდნენ ყვავილოვან ქალწულთა შესახებ, რომელნიც პარსიფალს სიზმარში ჰაეროვანი სახით ევლინებიან. თხოულობდნენ უფრო უნაზეს, უფრო ჰაეროვან აღმასრულებელთ. საფრანგეთმა, გახრწნილ საუკუნით მოქანცულმა საფრანგეთმა პარსიფალით ოდნავ ამოისუნთქა, ოდნავი სულის სიმშვიდე იგრძნო და მიტომაც გასაკვირველი არ უნდა ყოფილიყო, როდესაც ფრანგულ აღფრთოვანების სტილის შესაფერისად გულწრფელად ირწმუნებოდნენ „comaedia“-ს ფურცლებზე, სადაც, თუ მეხსიერება არ მღალატობს დაახლოვებით ასეთის ლექსით ასწერდნენ განცდილ გრძნობათ: „..თქვენ, ვინც მოღლილხართ, მოქანცულხართ, წარვედით პარსიფალზე და იშვებდით. ნუ გეშინის ნელსაცხებელს მოგმადლებთ იგი!“ და ამ ტონს, ასეთს აღფრთოვნებულს კილოს თქვენ ნახავდით თითქმის ყოველგან, სადაც ელირსნენ მის ნახვას, მის წაკითხვას. ბაზარი აივსო სხვა და სხვა გამოცემათარგმანით, იბეჭდებოდა ნოტების ნაწყვეტები, კითხულობდნენ ლექციებს, რეფერატებს, სულ სამიოდე თვეში ათასობით გამოკვლევა დაიბეჭდა ამ კეკლუცი ლეგენდის შესახებ.

მერე რა მოხდა? რას მოასწავებდა ეს სულის განმანათლებელი ახალი მოციქული? თურმე ნუ ბრძანებთ: „ომის წინასწარმეტყველს...,“ რომელსაც ჩაქავება უფრო შეჰფერის, ვიდრე გალმერთება. ზემოდ ხსენებულ ანკეტიდან სჩანს, რომ ვაგნერი არ შეიწყნარა თვით დიდმა როდენმაც კი! შეუწყნარებლად სცნო ცნობილმა კომპოზიტორმა სენ-სანსმაც. ზურგი შეუქცევია დიდებულ პოეტ ასტრონომს კამილ ფლამარიონს. ერთად ერთი კაცი გამოჩენილა, სახელდობრ პარიზის თეატრთა დირექტორი ასტრუელი, რომელსაც პასუხი მეტად ლაკონიური მიუცია: მეტი ზარბაზნები!.. მეტი სამხედრო სამზადისი!“

ჭეშმარიტად, მოცლილი ხალხი უნდა იყოს ამ მარტივ და ფრიად სადა ჭეშმარიტებისთვის რომ მოაზრეთა უკეთილშობილეს გრძნობათა ფარშუბი ასე ამაოდ იმსხვრევა. რატომღაც დარწმუნებულნი ვართ, რომ ომის გათავებისთანავე ფრანგთა კეთილშობილების სტილი თავის თავად მოითხოვს ამ მძვინვარებისა და შფოთვის შემდეგ დასცხრეს და ისევ პარსიფალით დაიმშვიდოს ზარბაზანთა გრიალით აშლილი ნერვები.

„მუსიკამ უნდა გარდაჰქმნას კაცობრიობა“,—ამბობდა ვაგნერი თავის ფილოსოფიურს წერილებში. ჩვენ ვიტყვით: მისი პარსიფალი საზოგადო მშვიდობას მოჰფენს მებრძოლ მხარეთ...

დ. კასრაძე

ბრძოლის სურათები

ქვენატკოცელ დაჭრილ ჯარის კაცისაგან ნაამბობი.

ეს იყო კარპატებში... და მეც მაშინ იქ დამჭრეს!

შიში ვინ გაიგონა ომის ველზედ. მხოლოდ როდესაც პირველად გამოგვიცხადეს: „მოემზადეთ ხვალ ბრძოლა იქნებაო“, მაშინ ერთხანობას დუმილი ჩამოვარდა ჩვენს როტაში.

ყველანი ფიქრმა გაგვიტაცა მოგვაგონდა სახლი, კარი, ჩვენი სამშობლო!..

ბრძოლაში რო შევედით, ყველაფერი დაგვავიწყდა, ვილას ახსოვდა შიში ან სიკვდილი? აღრფთოვანებულნი მივდიოდით.

ჩვენი ფიქრი ის იყო, სიკვდილს დაგვესწრო და ერთი მაინც გაგვემარჯვნა.

ზარბაზნის გრიალისაგან ყურთა სმენა აღარ იყო, მიწა ზანზარებდა, იქაურობას გლეჯდა, მთანი ბანს ეუბნებოდნენ.

ბევრი გაწყდა იმ დროს იქა. ჩვენიანებმაც ბევრმა ვაჟკაცურად კარპატებში სული დალიეს.

კარგი ვაჟკაცები დაიხოცნენ!..

ბეწვზედ ეკიდა ჩვენი გამარჯვება, ხან ისინი იყვნენ და ხან ჩვენა. ყუმბარები სეტყვასავით მოდიოდა, შეგვიცოტავდა ხალხი, შედრკა ჩვენი როტა, ბეწვზედ იყო ჩვენი ბედი.

ამ დროს მოგვესმა გამამხნევებელი ხმა ჩვენი წინამძღოლისა: „за мной ребята!“ იძრო ხმალი და გადაეშვა ცეცხლში და კომლში.

ჩვენც მივყევით.

თხრილები ერთი მეორეს ხელში გადადიოდა. ხიშტებით სიკვდილს ვამეფებდით.

ბოლოს დავძლიეთ. დაიხიეს უკან. შეუტიეთ ჩვენც და ვისაც ვასწრობდით აღარ ვზოგავდით.

დაჰკრეს „отбой“ და ჩვენც შევაჩერეთ დევნა.

მიმოვავლეთ თვალი ბრძოლის ველს. საზარელი სანახავი იყო, ჩემმა მტერმაც ნუ ნახოს მისთანა სანახავი, რაც მე იქ ვნახე.

ჩვენი გადარჩენილი, გაფანტული ჯარის კაცები თავს იყრიდნენ დანიშნულ ადგილს.

დაბრუნებისას იმისთანა რამე ვნახეთ, რომელიც არც ერთ ჩვენგანს არას დროს არ დაავიწყდება, ვინც იმ დროს იქ დაესწრო.

ერთ ადგილს შეხლის დროს დახოცილები საზარელის სანახავით ზედიზედ ეყარნენ. მათ შორის ორი მებრძოლი დგას პირის პირ დატაკებულნი ხიშტებით ერთი მეორეს მკერდში და უკან ბეჭში გასული. შუბლი-შუბლს მიზიდული, მკლავი-მკლავს მოხვეული და ერთი მეორეს თავზედ ხელ მოკიდებული და მარცხენა ფეხი ერთი მეორესან წინ გადადგმული უძრავად იდგნენ!

ორთავეს ღიმი გადაჰკვროდა მათ სახეზე.

ორთავენი მხარ-ბეჭიანი ვაჟკაცნი ერთი-ერთმანეთს ესაყვარლებოდნენ და თითქოს უსაყვედურებდნენ: „რათა ვკლავთ ერთმანეთს?!...

მათ დანახვაზედ ყველანი შევჩერდით. ამ დიად სანახაობამ ყველანი შეგვაკრთო და ყველანი ერთად ავქვითინდით, როგორც პატარა ბალღები.—

ჩვენმა წინამძღოლმა ქუდი მოიხადა და თაყვანი სცა. ჩვენც ქუდები მოვიხადეთ და მათ წინაშე მუხლი მოვიყარეთ.

რაღაც დიდმა უზენაესმა გრძნობამ გვამხილა ჩვენ: „რათ ვხოცავთ ერთმანეთს?!“...

ჩვენი წინამძღოლი მოვიდა უძრავად მდგომარე ერთი-ერთმანეთს ხიშტებზედ აგებულ ვაჟკაცებთან, ორთავენი გადაჰკოცნა და პირჯვარი გადასწერა.

შემდეგ მათ სახელოებიდან ამოიღო მათი ბილეთები, საიდანაც ვცანი შემდეგი: ერთი გერმანელი იყო, მეორე კი ჩვენის მხრიდან—ფრონის ხეობიდგან, მგონი, ღარის-სოფლიდგან,—გვარდიის ჯარისკაცი იყო.

ფოტოგრაფს მათი სურათი გადავაღებინეთ, მწერალმა ყოველივე დასწერა და დიდის ცერემონიით დავასაფლავეთ ორთავენი ერთად, ძეგლიც დავადგით.

Legatus.

მგზავრის შენიშვნები

(საკუთარ კორესპონდენტისაგან)

მკითხველს ეხსომება, რომ ამ რამდენიმე თვის წინედ უმაღლესი განკარგულებით დანიშნულები იყვნენ ყარსისა და ბათომის ოლქში დანაშაულების გამოსარკვევად მაჰმადიან ჩეტნიკებისა რომელთაც ბრალდებოდათ სახელმწიფო ღალატი იმ დროს, როცა მტრის ჯარი შემოვიდა რუსეთის ტერიტორიაზედ... ეს გამოძიება დავალებული ჰქონდათ გრაფ **ნიროდს** და გრაფ **ადელბერგს**, რომელთაც დაწვრილებით გამოიკვლიეს და იმ დასკვნამდის მივიდნენ, რომ თუმცა ადგილობრივი მცხოვრებთაგანნი ეხმარებოდნენ ოსმალეთის ჯარს, მაგრამ ეს ხდებოდა ძალდატანებით, რის გამოც არ არის მოღალატეობა სახელმწიფოსი... ხალხი ამ გამოკვლევით დაკმაყოფილდა და მოუთმენლად მოელოდნენ ამნისტიას... მაგრამ დღეს სურათი შეიცვალა და ახალი სურათი წარმოგვიდგა... მეფის ნაცვლის განკარგულებით საქმის გარჩევა კვლავ დაინიშნა... პირველი 26 კაცის საქმე ყარსის ოლქში ქალ. არდაგანში დანიშნული 27 თებერვლისთვის, საქმეს გაარჩევს 2-რე თურქესტანის პოლკის სამხედრო სასამართლო გენერალ მანსვეტაშვილის თავმჯდომარეობით. საქმე გაირჩევა სისხლის სამართლის 108 მუხლის ძალით... რომელიც ამბობს, „ყოველივე დახმარება მტრის მხედრობისთვის პასიური იქნება ის, თუ აქტიური, არის ღალატი სახელმწიფოსიო და ამიტომ ისჯებიან 108 მუხ. ძალითო“. ეს მუხლი კი ან ჩამოხრჩობას უქადის, ან სამუდამო კატორგას, ან სრულიად თავისუფლებას...

ვ. ხ—შვილი.

დაბა-სოფლები

სოფ. შრომა (ქიზიყი). 21-ს თებერვალს მოხდა შრომის სამკითხველოს წევრთა წლიური კრება, კრებას წევრები საკმაოდ დაესწრნენ; თავმჯდომარედ არჩეულ იქმნა ქ. შ. წ.-კ. გამავრცელებელი საზოგადოების სკოლებისა და ბიბლიოთეკების მეთვალყურე ბ-ნი გრ. ბურჭულაძე, რომელიც სკოლისა და სამკითხველოს დასათვალიერებლად იყო მოსული. გამოირკვა, რომ ხალხს სამკითხველოთი ჯეროვანად უსარგებლია: წიგნებიც ბლომად გაუტანიათ შინ წასაკითხავად და დღიური მკითხველებიც საკმაოდ ყოფილან. სამკითხველოს შემოსავლის ნაშთი 1916 წ. 1 იანვარს უდრიდა 31 მანეთს 35 კაპ. არ შეიძლება სამწუხაროდ არ აღინიშნოს სარევიზიო კომისიის სრული უმოქმედობა: კომისიას წლის განმავლობაში არც ერთი კრება არ მოუხდენია სამკითხველოს საქმეების განსახილველად. თვითონ გამგეობას მაინც მოეწვია სარევიზო კომისიის წევრები.

კრებაზე აღიძრა საკითხი საწევრო გადასახადის შემცირების შესახებ. ბ-მა ბურჭულაძემ სურვილი გამოსთქვა საწევრო გადასახადით 50 კ. დაწესების შესახებ და განუმარტა კრებას, რომ რამდენად ცოტა იქნება გადასახადი, იმდენად უფრო ფართოდ ისარგებლებს ხალხი სამკითხველოთი და წევრებიც მეტი იქნებაო. ხმის უმეტესობით დაწესდა საწევრო გადასახადი 50 კაპ. (თუმც მანეთიანის მსურველებიც ბლომად აღმოჩნდნენ). კრებამ მიიღო აგრეთვე თავმჯდომარის წინადადება სამკითხველოს ფული კასაში ან ბანკში სამკითხველოს სახელზე ინახებოდეს. არჩეულ იქმნენ ახალი გამგეობის წევრებად: ბ.ბ. ი. ჩხატარაიშვილი, შ. ქურდაშვილი, ქ-ნი თამარ ზედილაშვილი, მირზაშვილი და გრ. მაჰავარიანი. კრებამ დაავალა ახალ გამგეობას სამკითხველოს ბინის ყოველ მხრივ გაუმჯობესობა. დასასრულ კრებამ მადლობა გამოუცხადა ბ. ი. ჩხატარაიშვილს და შემოწირულებათა შემკრებ კომისიას ენერგიულ და ნაყოფიერ მუშაობისათვის.

გრ. საქარიქედელი.

ქსნის ხეობა. სხვა ხეობა არ მეგულება ჩვენ დალოცვილ ქვეყანაში ისეთი ჩამორჩენილი ყოველ მხრივ და განსაკუთრებით სწავლა განათლებით, როგორც არის ქსნის ხევი. ამ ხეობის მცხოვრებთა რიცხვი ორი ათას კომლზე მეტი თუ არა, ნაკლები არ იქნება და კომლზე ხუთი სული რომ ვიანგარიშოთ მაშინ უდრის ათი-ათას სულს.

და იმ ხეობაში, სადაც ამოდენა სული ადამიანი მოსახლეობს, არსებობს მხოლოდ ხუთი სასწავლებელი, რომელთაგანაც ერთი იმყოფება სოფ ლამისყანაში, ორი სოფ. ოძისში და ორიც სოფ. ახალგორში. ამ სამივე სოფლის თითო სკოლა არის პირველდაწყებითი სამინისტრო ერთ-კლასიანი. სოფ. ოძისის მეორე სკოლა არის დაბალი საბაღოსნო, რომელშიაც მზადდებიან მებაღე პრანკტიკანტები ორის წლის განმავლობაში; ახალგორის მეორე სკოლა არის დაარსებული სომხების რომელიღაც საზოგადოების მიერ და ამ სკოლით სარგებლობა შეუძლიანთ მხოლოდ სომხებს, რადგანაც სწავლა ამ ენაზე სწარმოებს.

რა მიზეზია სკოლების ასეთ სიმცირისა ამ ყოველ მხრივ ბუნებით შემკულ ხეობაში? რაღა თქმა უნდა უპირველესად ყოვლისა მცხოვრებთა შეუგნებლობა და სასწავლებლის სარგებლობის არ ცოდნა და აგრეთვე ამ ხეობის ერთი მუჭა ინტელიგენციის უსაქმურობა; მაგრამ ამის გარდა სტყუიან ის პირნიც, რომლების მოვალეობასაც შეადგენს სკოლების დაარსების საქმის ხელმძღვანელობა და მოწყობა; ამ ორი თუ სამი წლის წინად რამდენიმე შეგნებულმა პირმა იფიქრა, რომ არ შეგვშვენის ასე გულხელ დაკრებით ჯდომა და ბუზების ყლაპვას, და ჩააგონეს ხალხს სკოლების საჭიროება-სარგებლობა; ჯერ ხალხი უარზე იყო, მაგრამ ბოლოს ამ პირთა რწმუნებამ და მტკიცებამ გაიმარჯვა; ხალხი დასთანხმდა მათ და სამმა სოფელმა; იკოთმა, ყანჩაეთმა და წირქოლმა სასოფლო ყრილობაზე ხელი მოაწერა საამისო განაჩენზე, რომელნიც მომრიგებელ-მოსამართლის შუამავლობით გაიგზავნა სადაც ჯერ არს.

ჯერ-ჯერობით არაფერი პასუხი არ არის და შემდეგშიაც არ ვიცი კიდევ რამდენი ხნის ცდა მოუხდება ამ სამ სოფლის ბავშვებს და მათ სწავლის მოწადინებულ მშობლებს ვიდრე ეს სკოლები დაარსდებოდეს და შიგ სწავლა გაჩაღდებოდეს!

ხოხო.

პროვინციის ქრონიკა

ქუთაისი.

22 თებერვალს, ღამით უცნობ ბოროტმოქმედებმა გატეხეს ბესარიონ ლორთქიფანიძის დუქანი და წაიღეს სხვა და სხვა სანოვაგე, ღირებული ოცდა ათ მანეთად.

სად. ხრესილი.

სად. ხრესილის 5 ვერ. მახლობლად, როგორც ამბობენ, ლევ. კუპრაშვილს აღმოუჩენია საუკეთესო ხარისხის ქვანახშირი აგრეთვე ცემენტი, კოკსი, ლიტოგრაფიის ქვა.

ს. ერთაწმინდა (გორის მაზ.)

ს. ერთაწმინდის მცხოვრებთ სურვილი ქონდათ დაეარსებინათ რამოდენიმე კულტურული დაწესებულებანი, შეიმუშავეს გეგმა და ერთხმათ გადასწყვიტეს დაარსონ ახლო მომავალში მომხმარებელი საზოგადოება, სამკითხველო, საზოგადო სკოლები, სოფლის სამმართველო და სხ. დაწესებულებანი. ამას წინად ხმა გავრცელდა რომ ყველა ზემოდ აღნიშნული დაწესებულებანი იქმნება დაარსებული არა ს. ერთაწმინდაში არამედ ს. ახალ-ქალაქში, რომელიც დაშორებულია 3 ვერს. მანძილზე ს. ერთაწმინდაზე. ამ გარემოებამ ძალიან დაალონა აქაური მცხოვრებლები.

ყვირილა.

ყვირილის მომხმარებელ საზოგადოებამ „ერთობამ“ გახსნა სად. შორაპანში განყოფილება, რომელიც ჯერ-ჯერობით მხოლოდ პურით ვაჭრობენ. საზოგადოებამ გადასწყიტა ახლო მომავალში შეიძინოს პირველ საჭიროების სანოვაგე.

ს. ჩხარი (შორ. მაზ.)

15 თებერვალს, ს. ჩხარის მცხოვრებს ვ. ფარულაძეს თავს დაესხნენ და წაიღეს 200 მან. მცარცველები ვერ შეიპყრეს.

ფოთი.

საბოლოოდ გადასწყდა, რომ ქ. ფოთში დაარსონ ქალაქის საზოგადო ბანკი.

მაჰმადიანთა ცხოვრება

თბილისი.

ამ დღეებში შესდგება კავკასიის მაჰმადიანთა მომხმარებელ საზოგადოების კრება. კრებას მიზნად აქვს შეიძინოს საკუთარი შენობა და გახსნას ბავშვების თავ შესაფარი. კრებამ აგ[illegible] განსვენებულ ვეზი[illegible] სცეს ერთი სტიპენდია ქალთა რომელიმე გიმნაზიაში.

ბაქო.

ბაქოს მაჰმადიანთა განმანათლებელი საზოგადოება „ნიჯათ“-ი მართავს „ნავრუზ ბაირამის“ დღეს დიდ ტრადიციულ საღამოს.

— ბაქოს ერთ მოწინავე მაჰმადიანთა ჯგუფმა განიზრახა დაარსონ მომხმარებელი საზოგადოება. წესდება შეიმუშავეს და გუბერნატორს წარუდგინეს დასამტკიცებლად.

— **ჰასან-ეფენდი ქერიმოვი.** ამას წინად ქალაქ უფაში შეპყრობილი ცნობილი ჰასან-ეფენდი ქერიმოვი, როგორც გამოირკვა ეხლა ოდესის საპყრობილეში იმყოფება.

ჩაუბარებელი დეპეშები

როსტოვი: ხვედაგურიძეს—რომანოვსკი, კოხრეიძეს—ბაქო, კახაძეს—როსტოვი, კოკაშვილი—აბაშა, დავითაიას.

რედაქტორ-გამომცემელი
სანდრო შანშიაშვილი

ამიერ-კავკასიის რკინის გზის მიმოსვლა.

(დრო ნაჩვენებია თბილის. საათით)

თბილისიდან გადის:

			№	ს. წ.	
ბათომისკენ	სამგ.	მ.	9	. 8.53	სალ.
„	საფ.	„	3	. 9.58	დილ.
ხაშურისკენ	სამგ.	„	19-20	3.20	ნაშ.
ბაქოსკენ	ჩქარი	„	4	. 10.20	სალ.
„	ჩქარი	„	6	. 12.8	დღის
„	სამგ.	„	8	. 11.13	ღამ.
ყარს-ერევნ.	საფ.	„	4-3	. 11.13	ღამ.

თბილისში მოდის:

ბათომიდან	საფ.	მ.	4	. 9.30	სალ.
„	სამგ.	„	10	. 9.51	დილ.
ბაქოდან	საფ.	„	3	. 9.3	დილ.
„	ჩქარი	„	5	. 7.41	სალ.
„	სამგ.	„	7	. 1.42	ნაშ.
ხაშურიდან	სამგ.	„	19-20	7.25	დილ.
ყარს-ერევნ.	საფ.	„	4-3	. 8.8	დილ.

კახეთის რკინის გზის მიმოსვლა

(თბილისის დრო)

მიმოსვლა ყოველდღე სწარმოებს.

თბილისიდან გადის:

ტფილისიდან . .	8 ს.	58 წ.	დილ.
ნავთლუღი-ამიერ კავ.	9 „	23 „	„
ნავთლუღი-კახეთისა.	9 „	43 „	„
ვაზიანიდან . .	10 „	42 „	„
იორიდან . . .	11 „	35 „	„
საგარეჯოდან . .	12 „	17 „	„
ბადიაურიდან . .	1 „	15	დღის
მელაანიდან . . .	2 „	37 „	„
გურჯაანიდან . .	4 „	08 „	„
ვაჩნაძიანიდან . .	4 „	58 „	„
თელავში მიდის .	5 „	35 „	„
გურჯაანიდან . .	4 „	18 „	„
კარდენახიდან . .	4 „	50 „	„
წნორის-წყალ. მიდის	5 „	15 „	„

თელავიდან

თელავიდან . . .	8 ს.	58 წ.	დილ.
ვაჩნაძიანიდან . .	9 „	45 „	„
გურჯაანიდან . .	10 „	46 „	„
მელაანიდან . .	12 „	02 „	„
ბადიაურიდან . .	1 „	13 „	დღის
საგარეჯოდან . .	2 „	15 „	„
იორიდან . . .	2 „	53 „	„
ვაზიანიდან . . .	3 „	40 „	„
ნავთლუღ-კახეთ. .	4 „	31 „	„
ნავთლუღ-ამიერ-კავ.	4 „	46 „	„
თბილისში მიდის .	5 „	01 „	„
წნორის-წყლიდან .	9 ს.	16 წ.	დილ.
კარდანახიდან . .	9 „	46 „	„
გურჯაანში მიდის	10 „	16 „	„

წიგნის მაღაზია
„ახალი სიტყვა“ („Новая рѣчь“).
ი. დ. კიკნაძისა.

თბილისი. გოლოვინის პროსპექტი, 22, ტელეფონი 6—23.
გვაქვს ყოველნაირი ახალი წიგნები; ვკისრულობთ ყოველნაირ ბიბლიოთეკის შედგენას: საზოგადოს, საეროს, საქარხნოს, სასკოლოს, საბავშვოს და სხ. განმანათლებელ საზოგადოებათა და სასწავლებელთა მიერ დაკვეთილი წიგნები განსაკუთრებულ მორიგებით; ქალაქ გარეთიდან დაკვეთას ვასრულებთ ორ დღეში. წერილით ანუ პირადად ნაყიდი წიგნები შეიძლება ჩვენვე მივიტანოთ სახლში.

თევზის მრეწველნი
ძმ. ძეგველოვები
პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ., № 9, ტელეფონი № 712.
განყოფილება ავლაბარში
კახეთის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 6, ტელეფონი № 712
ყოველ დღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. „ლ. მაილოვის-შვით, სამრეწველოებიდან ახალი ქვირითის ხიზალალა, მცირე მარილიანი, შავი „„მეშოჩნი“ ხიზილალა, აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფარგა და ლოქო, გვაქვს აგრედვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთის და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.

ნებადართულია სამხედრო ცენზურისაგან

სტამბა „ცხოვრება“ ა. კალანდაძისა, გამაყვის შესახვევი № 4.